


● **ამას ღორბას ეძახიან, ბრალდებულ ექს-პრეზიდენტო!** ③

● **ბრანდენბურგის ჭიშკარისან არა მარტო ფეხბურთის ბაბო...** ⑤

საქართველოს



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, **16** აპრილი, 2014 წელი.

№164 (7545)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

„რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში კუთხეში მიმწყდელი სოფიანი ნადირი იღრინებოდა...

14 აპრილს „რუსთავი-2“-ზე – ნაცების სიჭრუის მთავარ რუპორზე, ნიუ-იორკიდან კიდევ ერთხელ დაგვცოფა ან უკვე ძებნილმა საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა...

სოციალურ ქსელებში მიშას ნაბოღვარს „შვიდი პიჯაკი და ერთი ქაშმირის პალტო“ უწოდებს. „9 ნელინადში საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც საქართველო გააცნო მთელ მსოფლიოს, რომელიც ამ 9 ნელინადში 50-ზე მეტ სამიტს დაესწრო, როცა ამ პერიოდში საქართველოში იყო თითქმის ყველა ნამყვანი ქვეყნის ლიდერი, ეს ყველაფერი მხოლოდ 7 თუ 8 პიჯაკი დაჯდა?! და ამაზე აგებს ივანიშვილი ყველაფერს?! განსხვავებით ამ ხალხისგან მე კორუმპირებული არასოდეს ვყოფილვარ, ჩემს ოჯახს დამატებითი შემოსავალი არ აქვს, და არ შემეძლო მე 7 პიჯაკის ყიდვა. რომელი გირჩევენიათ თქვენ, პრეზიდენტი, რომელიც კერძო თვითმფრინავით დაფრინავს და ბევრ ფულს აკეთებს, თუ პრეზიდენტი, რომელსაც სახელმწიფო ინახავს, მაგრამ სამაგიეროდ, არავის ფულს არ აპარვენებს“.



ბატონო მიხეილ, 2005 წლის 25 იანვარს, თქვენს მიერ გამოცემულ №43 ბრანდენბურგის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი 4720 ლარით განისაზღვრა, რაც წლიურად 56640 ლარს შეადგენს. პოდა თქვენი ხელფასით გნებავთ პიჯაკი მეყიდა, გნებათ, მაისური და გნებავთ – ტანგა. ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ ხალხის ხარჯზე, ნურას უკაცრავად!

თქვენ რომ მატყუარა და თავხედი ხართ, ეს ყველასთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ის სისულელეები, რაც 14 აგვისტოს ილაპარაკეთ ყოველგვარ ზღვარს გადასცდა.

„თქვენ გგონიათ მე, მებაღისებოდა პერუში ჩასვლა? პერუს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აპირებდა აფხაზეთის და ოსეთის დამოუკი-

დებლობის აღიარებას, სწორედ ამიტომ ჩავედი. ამ სამარცხვინოებმა ისიც გამოაქვეყნეს, რომ რამდენიმე მაღალჩინოსანს ჩვენ გადავეცით ფასიანი საჩუქრები, ისინიც აპირებდნენ აღიარებას, რატომ არ უნდა გადაგვეცა? კორუმპირებული ვგონივარ ივანიშვილს, კორუმპირებული არ ვარ, მე აქ დავდგვიარ მეტროთი, მე არაფერი მომმატებია, მაგრამ ქვეყნის ბიუჯეტი გაიზარდა თერთმეტჯერ“.

მაშ, მტყუანს?!
შეიძლება ეს ჩემი კომენტარი მაინცდამაინც კორექტული არ არის, მაგრამ იმ ბოლმასა და ბალამს, რომელიც „რუსთავი-2“-ის ეთერიდან აფრქვით, ზუსტად მიესადაგება.

„რომელი გირჩევენიათ თქვენ – პრეზიდენტი, რომელიც კერძო თვითმფრინავით დაფრინავს და ბევრ ფულს აკეთებს, თუ პრეზიდენტი, რომელსაც სახელმწიფო ინახავს, მაგრამ სამაგიეროდ, არავის ფულს არ აპარვენებს?“

ჩვენ ისეთი პრეზიდენტი და ისეთი ხელისუფლება გვიჩვენებია, რომელიც ყველაზე მაღლა კანონს, ხალხს და სამშობლოს ინტერესებს აყენებს. და როგორც აღმოჩნდა, თქვენ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება არ გცოდნიათ.

რაც შეეხება თქვენს ე. წ. „მეგობრებს“, რომლებიც ჯერ კიდევ ფაფხურობენ დასავლეთის პრესაში და ცდილობენ, რაღაცნაირად პირი მოგწმინდონ (ისე როგორ კარგად დამთხვა ეს შესანიშნავი ქართული გამოთქმა რეალობას როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), მათ საკადრისი პასუხი გასცა ბატონმა მარკ ადომანისმა, რომლის ციტირებაც The Corner-ში ანხელ მანეტრომ მოახდინა.

„ზოგიერთი გაგვინიანი პოლიტიკოსის სარედაქციო წერილები და განცხადებები ცხადყოფს, რომ ბატონ სააკაშვილს კიდევ ჰყავს მეგობრები საზღვარგარეთ. პასუხად, მარკ ადომანისმა გამოაქვეყნა საინტერესო ანალიზი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის ციტირება უპირანი იქნებოდა. ავტორი მიუთითებს ამერიკელი სენატორების (მათ შორის რუსეთის მიმართ აგრესიულად განწყობილი ჯონ მაკკეინი და ბენ კარდინი) განცხადებებზე, რომლებიც მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, ყურადღება გაამახვილონ მომავალზე და არა წარსულზე და ხელი შეუწყონ ქვეყნის წინსვლას და არა უკუსვლას“.

არა წარსულზე და ხელი შეუწყონ ქვეყნის წინსვლას და არა უკუსვლას“.

არადა, რა მამის პასუხია და „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში რეჟორმატორი პოლიტიკოსი და ექსპრეზიდენტი პი არა, კუთხეში მიმწყდელი ნადირი იღრინებოდა.

საუბრობდა არა ადამიანი, რომელმაც გადახედა თავისი ცხოვრების განვლილ გზას და დაშვებული შეცდომები შეაფასა, არამედ დამნაშავე, რომელიც ყველანაირად ცდილობს თავის დაძვრენას, ცდილობს და იმის ნაცვლად, რომ ხალხის წინაშე მოინანიოს ჩადენილი დანაშაული, აქეთ გვემუქრება.

ვიკი ბაბრიძე

რისი რისკებია ღარიბაშვილს?



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს „ტიპური დიქტატორის“ განცხადებებს უწოდებს.

„არ მინდა, კომენტარი გავაკეთო ისეთ არადეკვატურ განცხადებებზე, რომელიც გუშინ ერთად მოვისმინეთ. ძალიან ალღევეული ჩანდა სააკაშვილი და გამახსენდა ომის კადრები – მაშინ ყველაზე მეტად შეშინებული იყო და ერთგვარი გამეორება მოხდა ამ კადრების. რაც შეეხება მის განცხადებებს, თუ რომელიმე ქვეყანაში რომელიმე სახელმწიფოს მეთაურს მიაჩნია, რომ იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ეს არის ნორმალური, მაშინ პრეტენზია აღარ უნდა გვქონდეს დემოკრატიაზე. ეს იყო ტიპური დიქტატორის განცხადებები, თორემ როგორ შეიძლება მასაჟის მომსახურება და მილიონიანი ხარჯი იყოს ნორმად აღქმული. ესაა გამორიცხული“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, მას რომორც რიგობით მოქალაქეს, რისკებია, რომ ძველანას ასეთი საპარტახიონო პრეზიდენტი ჰყავდა.

დიდი დრო - მარტივი პროცედურისთვის?!

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილისთვის გაუგებარია, რატომ დასჭირდა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯვებთან დაკავშირებულ საქმეზე „გრიფით საიდუმლოს“ მოხსნისთვის ერთი თვე.


„პროკურატურამ დაასრულა საქმეზე მუშაობა და სწორედ ამიტომ გაკეთდა მოთხოვნა მასალებზე გრიფის მოხსნის თაობაზე. ჯობია, პრეზიდენტ მარგველაშვილს ჰკითხოთ, რატომ დასჭირდა ერთი თვე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნას. ეს, ზოგადად, ძალიან მარტივი პროცედურაა. მით უმეტეს, ჩვენთვის, თითოეული მოქალაქისთვის ნაცნობი იყო, რომ ხდებოდა ასეთი ხარჯვების განწვევა. გირჩევთ, მიმართოთ პრეზიდენტს და ჰკითხოთ, რატომ დასჭირდა ამდენი დრო? – მე არ ვიცი, მე მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან მარტივი პროცედურა და არ სჭირდებოდა ამდენი დრო“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრეზიდენტს 5 წუთზე მეტი უფიქრია!..

„საპარტახიონო პრეზიდენტს ვერავინ ვერ ეტყვის, კანონით დაგეგმილ ვადაში, სუთი წუთი იფიქროს, თუ მეტი იმ საკითხებზე, რომელიც მის კომპეტენციაში შედის. იმისთვის, რომ დააჩქარო ვინმეს გადაწყვეტილება, რაიმე ძალაუფლება ან შესაძლებლობა უნდა გქონდეს. 9 წლის განმავლობაში მე სწორედ ეს არ მომწონდა, რომ მათ არ იცოდნენ, სად იწყება და მთავრდება კანონი, სად მთავრდება ვალდებულებები და ხელისუფლების გამიჯვნა. საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა აპარატმა მაშინ გადაწყვიტეს ეს საკითხი, როდესაც მიამჩნდათ სწორად. ყურადღება უაღრესად ფაქიზად მიაქცია საკითხს, რომელიც არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკური საკითხი. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ეს საკითხი საქართველოს საგარეო პოლიტიკას დაუკავშირდა“..



ადონდ კალანდაძე



საქართველომ დაკარგა დიდი ხელოვანი, ფერმწერი – ადონდ კალანდაძე, რომლის შემოქმედება ყოველთვის ყველასაგან განსხვავებული იყო...

გვწამს, გავა დრო და მის ფერწერას ედმონდისეულს შეარქმევინ, რომლის ხელოვნებამაც სიცოცხლეშივე შპოვა ჭეშმარიტი აღიარება.

მერაბ ბერიძე

ინფორმაცია

ბოლო 10 წელიწადში აჭარაში 1.4 მილიარდ დოლარამდე ინვესტიცია განხორციელდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ ბათუმში საერთაშორისო ფორუმში – „ეკონომის ეკონომიკური სენატის კონგრესი“ განხილვა...

იმედი მაქვს, დღევანდელი ფორუმი ხელს შეწყობს ჩვენს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას...

ეკონომის ეკონომიკური სენატი წარმოადგენს ევროპული ბიზნესის საკოორდინაციო ცენტრ-ორგანიზაციას...

ეკონომის ეკონომიკური სენატი წარმოადგენს ევროპული ბიზნესის საკოორდინაციო ცენტრ-ორგანიზაციას...

ტის მქონე პირი, რამდენიმე ათეული ქუროდ კი რუსეთსა და ევროპაში წავიდა. 2000-ანი წლების დასაწყისში საქართველოში ბიზნესი არ არსებობდა...

მერაბი შვილის ყოფილი ხელქვეითი ათნლიანი ჯოჯოხეთის შემდეგ უკრაინიდან იხდის ბოდიშს, რაც საზოგადოების სულში ჩაფურთხებას უფრო ჰგავს...

„ბოდიში უნდა მოვუხადოთ ქართველ ხალხს, რომ ჩვენ მათ ცხრა წლის განმავლობაში ვტანჯავდით და ეს ყველაფერი მტკივნეული იყო...“

ანკი, რაღა დროს სინანულია? ნუთუ, მაინცდამაინც გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის... სიცოცხლე უნდა შეწყვეტილიყო...

განსაკუთრებით ღიმილისმომგვრელია ზღულის ინტერვიუს ბოლო პასაჟი. როგორც ერთგული ლაქია, დღესაც დიდი რაოდენობის უმღერის თავის ყოფილ პრეზიდენტს...

ზღულია ვერცლად უხსნის უკრაინელ ხალხს, თუ როგორ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო ანტიქართული მოქმედებების დასამარცხებლად...

რა თქმა უნდა, საუბარი სრულყოფილი ვერ გამოვიდოდა, ქალბატონ ყოფილ ჩინოვანს „კანონიერ ქურდებზე“ რომ არ ესაუბრა...

ლმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ნაციონალურ მხივლ სააკაშვილი. თქვენი არ ვიცი, მაგრამ ქართველი ხალხის ფანტაზიაში მიშა არ ჯდება, არა!!!

ნია ფიფია

ნაციონალური ბომონდი, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრიათ მიხეილ სააკაშვილის „ბონინტი“, ან პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის ბიუჯეტის ფულით, ცდილობენ, რამენაირად გაამართლონ...

„ბავშვურსახიანთა მთავრობის“ არაბავშვური თამაშობანი

საქართველოს წარმატებებით განსაკუთრებით მოიხიბლა უკრაინა. ყოფილი პრეზიდენტი თავისი ამალით დღემდე ამ ქვეყნის ერთგულ მეგობრად რჩება...



ეკატერინა „სიმართლე“ ქართველ ხალხს არ აინტერესებს!

ში კორუფციის არც ერთი ფაქტი აღარ არის. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები არის, მაგრამ კორუფცია სისტემური მოვლენა უკვე აღარაა...

ზღულია ვერცლად უხსნის უკრაინელ ხალხს, თუ როგორ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო ანტიქართული მოქმედებების დასამარცხებლად...

რა თქმა უნდა, საუბარი სრულყოფილი ვერ გამოვიდოდა, ქალბატონ ყოფილ ჩინოვანს „კანონიერ ქურდებზე“ რომ არ ესაუბრა...

ერთ-ერთმა პოპულარულმა უკრაინულმა გამოცემამ „უკრაინისკაია პრავდა“ ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე ეკა ზღულის ინტერვიუ ჩაინერა...

ეკა ზღულიაქ საქართველოში გატარებულ რეფორმებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ხელისუფლება საკმაოდ აგრესიული მოქმედებდა...

თუ ეს სიმართლეა, მაშინ ქალბატონ ეკას და მის თანამოაზრეებს ახლა რატომღაც აღიზიანებთ ტერმინი „კანონის წინაშე ყველა თანაბარია“...

როცა ჩვენ დღეს ვაპრობთ, საქართველომ კორუფცია დასძლია, მხედველობაში არ გვაქვს ის, რომ ამჟამად საქართველო-

ბატონო ექს-პრეზიდენტო, გადაჭარბებულ მაღალფარდოვნებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩემი ცხოვრება და მსოფლმხედველობა ისე აქვს, რომ პროფესიიდან გამომდინარე, ყოველთვის დამარცხებულის მხარეს ვარ. მე, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ბრძოლაში დამარცხებულ ადამიანებს ვგულსხმობ.

დამარცხებული ადამიანი ყოველთვის უფრო სუსტია და ამიტომაც, ერთ ძველ ქვეშაობიანს თუ გავიხსენებთ, ნესიერი კაცის ადგილი ყოველთვის უფრო სუსტისა და დაუცველის მხარეს არის, ვიდრე ძლიერის და გამარჯვებულის.

სწორედ ამიტომ არ გიჭერდით მხარს ჯერ კიდევ 2007 წლიდან, რადგან ვთვლიდი, რომ ჩემი ადგილი იქ იყო, სადაც თქვენზე და ჩემზე სუსტები იდგნენ ან უნდა მდგარიყვნენ. იმ სამოქალაქო საზოგადოებაში, რომელსაც თქვენი ხელისუფლება ასეთი აგდებით და ცინიკურად ეპყრობოდა წარმატებით და წარუმატებლობით სავსე თქვენი ყბადალებული 9-წლიანი მმართველობის პერიოდში.

ამის გამო არ გიჭერდით მხარს არც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო და, მით უმეტეს, არც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

და რაც მთავარია, სწორედ უმცირესობის არსებობის უფლების გათვალისწინებით, გიჭერთ მხარს 2013 წლის 28 ოქტომბრიდან, ანუ თქვენი ამ პოლიტიკური ციკლში საბოლოოდ დამარცხების მეორე დღიდანვე.

რა თქმა უნდა, მე თქვენი პოლიტიკური თანამოაზრე არ ვიყავი, არ ვარ და სავარაუდოდ არც არასდროს ვიქნები.

ისევე, როგორც არც ივანიშვილის პოლიტიკური მხარდამჭერი ვყოფილვარ და არ ვიქნები არასდროს.

მე უბრალოდ პოლიტიკოსების არ მჯერა.

მაგრამ მე მჯერა დამარცხებულთა უფლებების არსებობის, ან, თუ გნებავთ, დამარცხებულების არსებობის უფლებისა ამ ქვეყანაზე.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მე ადამიანთა შორის სოლიდარობის მჯერა.

ამიტომაც დღეს, თუნდაც ამ წუთას, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემძლია განვახადო, რომ მზად ვარ, ვიბრძოლო თუნდაც საკუთარი თავისუფლების დაკარგვის ფასად, რათა დავიცვა თქვენი და თითოეული თქვენი თანამოაზრის, როგორც მოცემულ ეტაპზე უფრო სუსტი პოლიტიკური ჯგუფის, არსებობის და გამოსატვის თავისუფლება ამ ქვეყანაში.

ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, რომ უმცირესობა ყოველთვის მართალი არ არის.

ასე იყოს ორი ათასი წლის წინათ, პონტოელი პილატეს სასახლესთან უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისას.

ასე არის ამჟამადაც, როდესაც ქვეშაობების ცოდნაზე პრეტენზიის მქონე თანამედროვე საღუკველები, ობროხინეები და ციციკორეები ცდილობენ დომინანტური მდგომარეობის მოპოვებას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ასე იქნება მომავალშიც, ვიდრე იარსებებენ უფრო სუსტები და უფრო ძლიერები, უმრავლესობა და უმცირესობა, გამარჯვებულები და დამარცხებულები.


და მაინც, სწორედ უმცირესობის მიმართ სოლიდარობის გამო, ასევე არ შემძლია ჩემი პოზიცია არ გამოვხატო, თქვენი როგორც ერთ დროს ყველაზე ძლიერი პერსონის და სახელმწიფო მოხელის დამოკიდებულების მიმართ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით.

არ გეგონოთ პროკურატურის



ამას ღორიბას ეძახიან, ბრალდებულს ექს-პრეზიდენტო!

ღია ნაჩილი მიხეილ სააკაშვილს



საბრალდებო ვერსიებზე ან ოცნების პოლიტიკური ლიდერების ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალურ და გამაღიზიანებელ ვარაუდებზე გესაუბრებოდეთ.

არც ამერიკელი სენატორები და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიმაჩნია თქვენს მიერ მოსყიდულ მეგობართა კლუბის წევრებად.

და თქვენ წარმოიდგინეთ, მუცლითმზლადრე მასაჟისტ დოროთი შტეინზე და მკერდითმზლადრე მერედით ოსტრომზეც კი მზად ვარ, ჩუმად ვიყო.

მაგრამ არის საკითხები, რომელთა მიმართაც ჩემს უკიდევანო კაცთმოყვარეობასაც საზღვარი აქვს.

ფაქტები გინდათ?

კი ბატონო!

მე, როგორც იურისტს, რასაკვირველია მხოლოდ არგუმენტებით მიყვარს საუბარი.

აი, მაგალითად: ინფორმაციის თავისუფლების განვი-

თარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევის თანახმად, 2013 წლის განმავლობაში, ანუ მაშინ, როდესაც პრინციპში რეალური ძალაუფლება უკვე აღარ გაგაჩნდათ და არც განსაკუთრებული მნიშვნელობის ოფიციალურ სახელმწიფო ვიზიტებს ახორციელებდით, 112 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდით მივლინებაში საზღვარგარეთ.

განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება თქვენი ვიზიტები საბერძნეთში, ავსტრიაში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, სინგაპურში, აშშ-ში და იტალიაში.

ყველაზე საინტერესო კი ამ მივლინებებში, თუ გნებავთ საქმიან ვიზიტებში სასტუმროს ცხოვრების ხარჯებია.

უფრო სწორად ამ ქვეყნების ყველაზე ძვირადღირებული სასტუმროებში არცხოვრების ხარჯები.

ფაქტებისთვის ბევრი კვლევა-ძიება სულაც არ გვჭირდება.

მაგალითად, 2013 წელს აშშ-ში ვიზიტისას თქვენ 9 დღის განმავლობაში ცხოვრობდით მსოფლიოს ერთ-ერთ სასტუმროში (ჩავთვალოთ, რომ მუშაობდით) Peninsula New York-ში,

რომლის ერთი ხოძრის ღირებულებაც ღამეში 3500 აშშ დოლარს შეადგენდა, მაგრამ იმის გამო, რომ თქვენ სასტუმროდან გამოსვლა ანუ check out დაგავიანდათ (ანუ ჩავთვალოთ, რომ დაგეძინათ), დამატებით კიდევ იქნა გადახდილი ერთი დღის საფასური 3500 აშშ დოლარი.

ამავე 2013 წელს თქვენ ხუთჯერ (?) იმყოფებოდით არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, საიდანაც მხოლოდ ორი ვიზიტის სასტუმროს ხარჯმა 4 დღის მანძილზე 58 000 აშშ დოლარი შეადგინა (ჩავთვალოთ, რომ მუშაობდით), ხოლო ნომრიდან დაგვიანებით გასვლის გამო, დამატებით გადახდილი იქნა კიდევ ერთი დღის საფასური 2800 აშშ დოლარი (ჩავთვალოთ, რომ დაგეძინათ).

ამის შემდეგ თქვენ ერთი კვირით სინგაპურში გაემგზავრეთ, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 41 000 აშშ დოლარი გამოიყო, სასტუმროში ერთი ნომრის ღირებულებამ კი ღამეში 3000 აშშ დოლარი შეადგინა (ჩავთვალოთ, რომ მუშაობდით). თუმცა გაუთვალისწინებელ ხარჯებს აქაც ვერ ავციდით და დამატებითი ხარჯების სახით სასტუმრო Mandarin Oriental Singapore-ში ამჯერად 4500 აშშ დოლარი გადაიხადეთ.

აი, რომში ვიზიტისას კი კვლავ დაგეძინათ და დაგვიანებითი check out-ის გამო 1900 აშშ დოლარი გადაგვასდევინეს, ისევე როგორც დაგეძინათ ავსტრიაში, რაც ქართველ ხალხს (როგორ არ მიყვარს ეს განზოგადება, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გზა არ მაქვს, ფაქტი სახეზეა) დამატებით 2100 აშშ დოლარი დაუჯდა.

ამ სიის გაგრძელება კიდევ და კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ამ წერილისთვის ესეც სასებით საკმარისია.

საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ, როგორი არასოლიდარული იყავით თქვენივე ქვეყნის იმ თანამოქალაქეების მიმართ, რომელთა ოფლისა და სისხლის ფასად შევსებული ბიუჯეტის ხარჯზეც უფლიდით გარშემო მსოფლიოს.

ცხოვრობდით (გნებავთ მუშაობდით) ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროებში, ყიდულობდით ძვირფას პერანგებს, პიჯაკებს, საათებს, საჩუქრებს, სპამომსახურებებს. დუბაის პრინცის შესაფერის ფუფუნებაში აცხოვრებდით თქვენი პოლიტიკური გუნდის ელიტარულ წევრებს. ერთი პატარა გოგოს გამო ცვლიდით კონსტიტუციას და, რაც ყველაზე მთავარია, როგორც ფეხებზე გეკიდათ თქვენი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქის პირადი პასუხისმგებლობა სხვა თანამოქალაქეების მიმართ, რომელთა უმრავლესობა თქვენი პრეზიდენტობის დროსაც და, სამწუხაროდ, მის შემდეგაც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

ან როგორ გეძინათ მაშინ, როდესაც ყველაზე მთავარი ომი წააგეთ თქვენს ცხოვრებაში და დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში ოკუპანტის ტანკები დგანან?!

მე მაპატიეთ არაპოლიტიკორექტულობა, მაგრამ უბრალო ადამიანების ენაზე, სწორედ იმ ადამიანების ენაზე, რომელთა კუთვნილი ფულთაც თქვენ გართობისა თუ მუშაობისგან დაღლილს, მშვიდად გეძინათ სინგაპურის ყველაზე ძვირადღირებული სასტუმროს ნომერში, ამას მარტივად ღორიბას ეძახიან, ბატონო ექს-პრეზიდენტო.

ხოლო ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ: ღორიბა ყველგან ღორიბაა, საქართველოშიც და ჩვენს მეგობარ ევროპა-ამერიკაშიც!

რა ვქნა, არსებობს სიტუაციები, როდესაც დამარცხებულის დაცვა კი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეშაობიანება.

სამწუხაროდ, ეს სწორედ ის საგამონაკლისო შემთხვევაა, ბატონო ექს-პრეზიდენტო!

მიიღეთ ჩემი სინანული...

პატივისცემით, ადვოკატი ამირან გიგუაშვილი

მოამზადა ანა ნოღია

© ქართული ავიაციაზარი

მგზავრობა რადიკალურად მნიშვნელოვნად გაიზარდა

ქართულ ბაზარზე ავიაკომპანიათა რაოდენობა იზრდება. ეს გააქტიურება განსაკუთრებით შეიმჩნევა ტურისტულ სეზონზე, რის შესახებაც საქართველოს მედია 2014 წლის გაზაფხულიდან უკვე პერმანენტულად იტყობინება.

სულ რამდენიმე დღეა, — კერძოდ, 4 აგვისტოდან, — თბილისი-თეირანის მიმართულებით ფრენა დაიწყო ავიაკომპანია „Flyvista“-მ. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, რეისები კვირაში ორჯერ სრულდება. კომპანიამ ამ რეისის დანიშვნა მგზავრობა საკმარისი ნაკადის გამო გადაწყვიტა. „Flyvista“ დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიაა, რომელიც მომხმარებელს საგემო ფრენებს სთავაზობს თბილისიდან მეზობელ ქვეყნებში.

გასულ თვეში სიახლე იყო ნატასტარი-მესტიის რეისის დანიშვნა — ნატასტარიდან მესტიის მიმართულებით ჩეხური წარმოების თვითმფრინავით რეისები კვირაში სამჯერ ხორციელდება, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ბუნებრივმა პირობებმა უკვე არაერთხელ გამოიწვია რეისების გადადება. არადა, ამ მიმართულებებზე რეგულარული ფრენების დანიშვნის ძალიან დიდი მოთხოვნაა, რადგან ეს მოსახერხებელია როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვის. ავიარეისები თბილისიდან მესტიამდე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ხანგრძლივობას — 7-8 საათს — 45 წუთამდე ამცირებს. ფრენებს ქართული ავიაკომპანია „სერვისიერი“ ასრულებს. 2014 წლის იანვარში თბილისი-მესტია-თბილისის მარშრუტით ავიარეისების დირექტორების ნაწილობრივი ანაზღაურებისთვის 100 ათასი ლარი გამოიყო.

ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით საკმარისი რაოდენობის ფრენები საქართველოს შავიზღვისპირეთშიც:

მინსკი-ბათუმი-მინსკის ავიარეისები კვირაში სამჯერ სრულდება კომპანია „ბელავიას“ ხაზების თვითმფრინავით; ასევე უკრაინის მიმართულებით შეგიძლიათ „დნეპროავიასა“ და „Ukraine International Airlines“-ითაც იფრინოთ. 2014 წლის 7 ივნისს პოლონურმა ჩარტერულმა



ავიაკომპანია „Enter Air“-მა პირველი ჩარტერული რეისი შეასრულა ვარშაიდან ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით. ზოგადად, პოლონეთიდან ბათუმის აეროპორტის მიმართულებით საშუალოდ სამი ჩარტერული ფრენა ხორციელდება. მისის ბოლოდან დაიწყო თელავი-ბათუმის ფრენებიც, კვირაში ორჯერ რუსეთის მიმართულებით ახორციელებს ფრენებს „Georgian Airways“ და „სიბირის“ ავიაციაზები.

თუმცა, მგზავრობა გადაყვანის სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ბათუმის აეროპორტმა წელს შარშანდელზე ნაკლები მგზავრი გადაიყვანა. აღარაფერს ვამბობთ მესტიის მიმართულების ფაქტობრივ ჩავარდნაზე. სამაგიეროდ, ძალიან გააქტიურებულია ფრენები ქუთაისის მიმართულებით და ზრდა არის თბილისის მიმართულებებშიც. კერძოდ: მესტიის აეროპორტმა 2014 წელს, პირველ 6 თვეში, 183 მგზავრი გადაიყვანა, 2013 წელს — 158, მაშინ, როცა 2012 წელს 900-ზე მეტი მგზავრი ჰყავს გადაყვანილი.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის 2014 წლის 6 თვის მაჩვენებელი (75 ათასამდე მგზავრი) მცირედით — 2000-ით — ჩამოუვარდება 2013 წლის მაჩვენებელს, თუმცა, დაახლოებით 15 ათასით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს;

2014 წლის 6 თვეში თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა 669 ათასამდე ადამიანი გადაიყვანა, შარშან, ანალოგიურ პერიოდში, ეს მონაცემი იყო დაახლოებით 610 ათასი, 2012 წელს კი — 525 ათასი;

საგრძობი ზრდაა ქუთაისის აეროპორტში. 2012 წლის მონაცემები პრაქტიკულად თითქმის არ არის. უკვე 2013 წელს, 6 თვეში, აეროპორტმა 60 ათასამდე მგზავრი გადაიყვანა, 2014 წელს კი იმავე პერიოდში — 112 ათასზე მეტი.

სტატისტიკა მონიშნავს, რომ საქართველოს აეროპორტებში გადაყვანილი მგზავრების ჯამური რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც, რა თქმა უნდა, ალსანიშნავი და მნიშვნელოვანი ტენდენციაა, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარების პერსპექტივისათვის.

ნიკო ვაშაძე,
რადიო „თავისუფლება“

© ვითარება

რას მისტირიან და უბრძვიან უეცრად ღარაზემული?


ფინსპეციალური ქსელების ლიბერალი იუზერების უმრავლესობა, სიტყვით მძლავრად რომ უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრებას, უეცრად დაიარაზმა და თავს დაესხა საქართველოში გარკვეული კატეგორიის წამლების ურევებთან დაკავშირებით.

ეს რომ რომელიმე მემარცხენე პარტიას ან პოლიტიკოსს გაეკეთებინა, არავის გაუკვირდებოდა. მაგრამ პროევროპული ლიბერალები რომ პროგრესის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ეს უკვე საგანგაშოა. სხვათა შორის, წინა ხელისუფლების დროს იგივე განმეორდა სავალდებულო ტექნიკური ურევების ხელახლა შემოღებისა და პარკირების მოწესრიგების მიზნით ქუჩებში სპეციალური სალა-

ღამის 10 საათის შემდეგ სახლში არ უნდა იმყოფებოდნენ და ქუჩაში არ უნდა ასიგნალო მანქანის საყვირი; უნდა შეეფუთათ იმას, რომ სადარბაზო იქნება, ლიფტი თუ სასურავი, მისი მოვლა ყველას მოვალეობაა და არა მხოლოდ იმის, ვისაც სამუშაოზე სხვებზე მეტი შემოსავალი აქვს, ხოლო, ვისაც ურბანული ურთიერთობები მძიმე ტვირთად აწევს, კეთილი უნდა იქნებოდა გაყიდვის ბინა და საცხოვრებლად სოფელში გადაიდგენ;

თუმცა, სოფლებში მცხოვრებლებსაც მოუწევთ იმასთან დაშვადობა, რასაც შეგუებული არიან. ისინი ვალდებული იქნებიან, არაყუდ და ღვინოზე დაზოგონ ფული, გაერთიანდნენ და განმეორებულად ნაგებობები ააშენონ, რათა მათი ფეკალიები და ნაგავი მათსავე გარემოს არ აბინძურებდეს;

**ლიბერალითა
ხმაური და
ეპროპული
რეპულსია**



გლებს იმასთანაც მოუწევთ შეგუება, რომ ე.წ. ფესსალაგების ნაცვლად შესაბამისი სასახურები მათ ნორმალური ტუალეტის აშენებას და კანალიზაციის შეყვანას მოსთხოვენ;

პერსპექტივაში, ქალაქში მცხოვრებლებს ენერგეტიკული კომპანიები დენის და გაზის ფულის არაფერს დროულად, არამედ წინასწარ, დეპოზიტის სახით გადახდასაც მოსთხოვენ, როგორც ეს ევროპაში;

დეველოპერები კი გვარიაან დაჯარიმდებიან მშენებლობის ნორმებისა და ვადების დარღვევისათვის და მათ ვერ უშველით პრეზიდენტისა პრემიერ-მინისტრების თუ მერების ახლო ნათესაობა; თავის მხრივ, მთავრობის წევრები უნდა შეეფუთონ იმას, რომ მათ არა მხოლოდ კანონის დარღვევის გამო მოუწევთ საგარეო მართლმართალი კარიერასთან გამოშვადობა, არამედ, ერთი შესხედვით, უწყინარი პლაგიატისთვის, როგორც ეს 2011 წელს დაემართა გერმანიის თავდაცვის მინისტრს კარლ ტოფორტს ცუ გულტენბერგს; დაბოლოს, ქართველი ლიბერალითა და ექსპერტ-ანალიტიკოსთა არმია უნდა მიეჩვიოს იმას, რომ ხელისუფლების მიერ შემუშავებული ყველა ინიციატივის კრიტიკა არ ნიშნავს „კაი ტიპობას“, ხოლო კანონმორჩილება — „ჩმორობას“.

მოკლედ, ბევრ რამეს უნდა შეეფუთო, რადგან ამ რეგულაციებისა და წესების, ასეთი ურთიერთობის გარეშე ევროკავშირი უბრალოდ მითია.

და თუ კი ეს მარტივი ამბავი ასე ძნელად ესმის ჩვენს ზოგიერთ პროევროპულ ლიბერალს, ეს ნიშნავს, რომ აქლემი უფრო მალე გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

კობა ლიკლიაძე

© აბსურდული თემა

რას ვჭამთ და რას ვსვამთ?

ალბათ, ყველა მომხმარებლისთვის აქტუალურია საკითხი, რას მივირთმევთ და რამდენად შეესაბამება სტანდარტებს ის პროდუქცია, რომელიც ქვეყნის საცალო ქსელში ხვდება, ან რამდენად უსაფრთხოა ონჯანის წყალი. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესოა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მასშტაბით ჩატარებული შემოწმების შედეგები, რომელიც ევრაზიის ფონდმა გამოითხოვა და გაავრცელა.



მონაცემები საკმაოდ საინტერესოა და დაამაფიქრებელია. კერძოდ, შემოწმების შედეგები აჩვენებს, რომ:

ბავშვთა კვების შემოწმებული 16 ობიექტიდან დარღვევები აღმოჩნდა ორ საწარმოში, ორივეგან მიკრობიოლოგიური ტიპის: საფურცის სოკოს მაჩვენებელი აღემატებოდა დასაშვებ ზღვარს; ერთ საწარმოში გამოიკვეთა ასევე სანიტარიული დარღვევები;

ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელი 154

საწარმოდან 40 საწარმოში აღმოჩნდა მიკრობიოლოგიური ტიპის დარღვევა, მათგან ერთში — ხარისხობრივი.

არაცხოველური წარმოშობის სურსათის (მაგალითად, კონსერვების, ფქვილის, პურის და ა.შ.) წარმოებაში ჩართული 128 საწარმოდან დარღვევა სულ 3 საწარმოში აღმოჩნდა და ეს დარღვევებიც სუფრის მართლის წილის ან იოდის მაჩვენებლის წილის შედარებით დიდ დოზასთან იყო დაკავშირებული; საკმაოდ სემპლირების სისტემაში, სადაც 176 შემოწმებული ობიექტიდან დაახლოებით მესამედზე მეტი სხვა-

დასხვა ტიპის მიკრობიოლოგიური დარღვევა აღნიშნულია; ალკოჰოლური პროდუქციის 38-დან 2 შემთხვევაში მომავალი აღმოჩნდა აქროლადი მჟავები; სამაგიეროდ, საკმაოდ რთული ვითარებაა მზა კერძებისა და ნახევარფაბრიკატების სფეროში: 85 შემოწმებული ობიექტიდან ყველაში აღმოჩნდა სხვა-

დასხვა ტიპის პრობლემა. მართალია, ზოგიერთ მათგანზე მითითებულია, რომ ეს დარღვევები არაა კრიტიკულია, მაგრამ თავად ეს სტატისტიკა საკმაოდ ბევრის მთქმელი გახლავთ.

მნიშვნელოვანია, რომ გავრცელებულ ინფორმაციაში ჩამოთვლილია ის კომპანიებიც, რომლებიც ამ დარღვევების გამო დაჯარიმდნენ.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში მიაჩნიათ, რომ წარმოდგენილი მასალა მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას აძლევს საკითხით დაინტერესებულ სხვადასხვა ჯგუფს, მომხმარებელთა უკეთ ინფორმირების, დარღვევების პრევენციისა და კანონმორჩილ მწარმეთა ნახალისების მიზნით.

ასევე მათი რეკომენდაციაა, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე შეიქმნას ცალკე განყოფილება, სადაც თავმოყრილი იქნება რეგულარულად განახლებადი მონაცემები სეს-ის მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგების თაობაზე. ეს საშუალებას მისცემს მომხმარებელს, რომელიც დაინტერესებულია უსაფრთხო პროდუქტის მიღებით, თავად აკონტროლოს იმ პროდუქტის მდგომარეობა, რომლის მოხმარებასაც იგი გადაწყვეტს.

ნიკო ვაშაძე



ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №223

მსოფლიო ჩემპონატზე გერმანიის ნაკრების გამარჯვების შემდეგ საკუთარმა სამშობლომ ფეხბურთელებს პირველი შეხვედრა ბრანდენბურგის ჭიშკართან მოუწყო. ამ საერთო სიხარულსა და ეიფორიაში მწვრთნელმა იოაჰიმ (იოგი) ლიოვემა თანამემამულეებს მიმართა: „ჩვენ მუდმივად გიყურებდით თქვენ, თუ როგორ მხურვალედ გულშემატკივრობდით... პირდაპირი ეთერი გადასცემდა, როგორ იდევით ბრანდენბურგის ჭიშკართან, უყურებდით მატჩს მონიტორზე, ღელავდით, მღეროდით, განიცდიდით...“

ჩვენ განუწყვეტლივ ვხედავდით და ვგრძნობდით თქვენს გულშემატკივრობას, რაც ძალიან გვაძლიერებდა.

ჩვენ ყველანი, თქვენთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონები ვართ!..

* * *

მათ, ვინც ბრაზილიაში ჩასვლა ვერ მოახერხა, ფინალის დამეს, 300 000 გულშემატკივარი ბრანდენბურგის ჭიშკართან იდგა. იქ შექმნილი ეროვნული მუხტი ფეხბურთელებს გამარჯვებისთვის განაწყობდა.

იმ დამეს, ბრანდენბურგის ჭიშკართან, ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულეც ზვიად მიქელაძე იდგა და იქ გადაღებული ფოტოები დღეს „კვირბაღალს საკითხავისთვის“ გადმოგვცა, რის გამოც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

მისივე განმარტებით, გერმანია გამარჯვებისთვის დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა. სახელმწიფოში საერთო მოზილიზაცია

იყო, მუდმივი, დეტალური ანალიზით. საზოგადოების დასახნად ხდებოდა წარმატებული ფეხბურთელის წახალისება, რომელიმე ფეხბურთელის ნაკლებე ან რაიმე ქმედებაზე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მსჯელობა, მწვრთნელს თუნდაც უმნიშ-

ვანი სახელოვანი კომპანია ცდილობდა ეს ფეხბურთელები ქვეყნის გლადატორების სახით წარმოედგინა... მართლაც, ფეხბურთელი იქ იზრდის, როგორც გლადატორი...

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე მომავალი ფეხბურთელების აღზრდას... ფაქტია, დაუმარცხებელი აღმოჩ-

ნა ხდება ნაკრებში. ფეხბურთელები იქ ქვეყნის სახეა, ქვეყნის ძალმოსილების გამოხატულება.

ჩემპიონატის დაწყებამდე თითოეული ფეხბურთელის დიდი ბანერები იყო გაკრული ქუჩებში, მეტროებში... ფოტოები საინტერესო რაკურსში გადაწყვეტილი... ისინი ჩანდნენ ძლიერნი, მიზანდასახულნი, იმედისმომცემნი...

მთელი სარეკლამო კომპანია ცდილობდა ეს ფეხბურთელები ქვეყნის გლადატორების სახით წარმოედგინა... მართლაც, ფეხბურთელი იქ იზრდის, როგორც გლადატორი...

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე მომავალი ფეხბურთელების აღზრდას... ფაქტია, დაუმარცხებელი აღმოჩ-

ნა ხდება ნაკრებში. ფეხბურთელები იქ ქვეყნის სახეა, ქვეყნის ძალმოსილების გამოხატულება.

ჩემპიონატის დაწყებამდე თითოეული ფეხბურთელის დიდი ბანერები იყო გაკრული ქუჩებში, მეტროებში... ფოტოები საინტერესო რაკურსში გადაწყვეტილი... ისინი ჩანდნენ ძლიერნი, მიზანდასახულნი, იმედისმომცემნი...

მთელი სარეკლამო კომპანია ცდილობდა ეს ფეხბურთელები ქვეყნის გლადატორების სახით წარმოედგინა... მართლაც, ფეხბურთელი იქ იზრდის, როგორც გლადატორი...

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე მომავალი ფეხბურთელების აღზრდას... ფაქტია, დაუმარცხებელი აღმოჩ-

ნა ხდება ნაკრებში. ფეხბურთელები იქ ქვეყნის სახეა, ქვეყნის ძალმოსილების გამოხატულება.

არა გარემო ფეხბურთის გარე...



აქსელუზიური ფოტოები „კვირბაღალს საკითხავისთვის“

ნელო გაუთვალისწინებელი მეცდომის აღნიშვნა და ა. შ. საერთოდ, არსებობს მუდმივი, განუწყვეტელი კონტროლი,

ნდა გერმანიის იუნიორელ ფეხბურთელთა გუნდიც... ამ ყველაფერში იდგება უდიდესი თანხა, რაც სახელმწიფოებ-

მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ ამსოლუტურად ავტონომიურად, პრინციპულად მოქმედებს მწვრთნელი, იძულებული ხდე-

ბა ანგარიში გაუწიოს გულშემატკივართა ინტერესებს.

მწვრთნელებზე არის დიდი წნეხი, რომელიც ვალდებულებას იღებს ყოველგვარი შეღავათების გარეშე – შედეგი აჩვენოს. წაგების შემთხვევაში გამართლებელი არგუმენტები არ ისმინება და არ განიხილება... აქედან დასკვნა: გამარჯვებას ვერ მოიპოვებ, ვერ შეთხზავ, მას არაფერს გაჩუქებს, გამარჯვება უნდა დაიმსახურო!

საერთოდ, ფეხბურთში ჩანს ერის ხასიათიც და სულსკვეთებაც.

თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა შეძლო საკუთარი ეროვნული ხასიათის მიხედვით თამაშის აწყობა, ის უკვე გამარჯვების გზაზეა. გერმანიამ თავის ნაციონალური ხასიათი გვიჩვენა: დარწმუნებული თავის ძლიერ ნებაში, სახელმწიფოებრივი შეგნებით, პასუხისმგებლობის უპირობო გრძნობით, სულსკვეთებით: „მოვდივარ, რათა გავიმარჯვო“ და სწორედ ასეთი ფინალისთვის აღიჭურვა.


2014 წელს, ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე, გერმანელებმა შეძლეს ეს ეროვნული იდეა გაეტანათ: „ან გამარჯვება ან არაფერი“...

ისტორია გვიჩვენებს, რომ საფეხბურთო ჩემპიონატების საბოლოო შედეგებზე არა მარტო სპორტსმენთა პროფესიონალიზმში აღიბეჭდება, არამედ ქვეყნების მდგომარეობაც, მათი ცხოვრების რიტმი, ალბათ, ბედისწერაც... და რაც ყველაზე თვალშისაცემია – სულსკვეთება...

ალბათ, ეს და კიდევ სხვა მრავალი რამ ჰქონდა მხედველობაში გერმანიის ნაკრების მწვრთნელს, როცა ბრანდენბურგის ჭიშკართან საყოველთაო ტამის გრილსა და შეძახილებში, თანამემამულეებს მიმართა: „ჩვენ ყველანი, თქვენთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონები ვართ!“

სურათი: ასე გულშემატკივრობდნენ ფინალურ მატჩს ბრანდენბურგის ჭიშკართან.

ფოტოების ავტორი ზვიად მიქელაძე.





ქეთევან მაღალაშვილი სახელოსნოში

1922 წელი იყო. ქართველი საზოგადოება იუბილეს უხდოდა ცნობილ ქართველ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს. სცენაზე მისი პორტრეტი გამოიტანეს. მაშინ არავინ იცნობდა ამ პორტრეტის ავტორს. საზოგადოებრივ სიტყვაში ნიკოლაძემ ახალი ნიჭიერი მხატვრის მოსვლა მიულოცა საზოგადოებას და პორტრეტის ავტორი გააცნო... არავინ არაფერს ეუბნებოდა ეს სახელი და გვარი, მაგრამ ყველას სწამდა ნიკოლაძის დიდი ავტორიტეტი.

ასეთი ფეხმდინერი იყო ქეთევან მაღალაშვილის პირველი ნაბიჯი მხატვრობაში. პირველივე დღიდან სიყვარული და ინტერესი ახლდა ყველა მის საქმეს...

და მაინც... ქეთევან მაღალაშვილის სახელი ფართო საზოგადოებამ, უფრო ზუსტად, მისმა შემდგომმა თაობამ თამარ მეფის პორტრეტით გაიცნო...

გვასოვს, რა დიდი ინტერესი გამოიწვია ამ სურათმა, როცა პირველად საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში გაჩნდა... კარგად გამოხატავდა ყველა ჩვენგანის გულში თითქმის გაჩენის დღიდან თანდაყოლილ გრძნობას ქართველი ხალხის ამ უსაყვარლესი გმირისადმი. ხშირად მისი რეპროდუქცია კედელზეც გვექონდა გარეული... და ავტორიც ისევე ძვირფასი და ახლოდგომი გახდა ჩვენთვის, როგორც სურათი.

პონსტანდინე გამსახურდია: „საქართველოში ყოველ მესამე ცხეს თამარის სახელი ჰქვია. ყოველ მესამე ყვავილს – თამარის თვალი.“

ადვილი როდი იყო თამარზე, ხალხში ასე ღრმად ფესვგადგმული წარმოსახვის ხორცშესხმა და ლეგენდად და სიმღერად ქცეული სახის ისე გაცოცხლება, რომ მასში ყველას თავისი საყვარელი გმირი ეცნო...

ქეთევან მაღალაშვილი ახალგაზრდობიდანვე, პირველი ნაბიჯებიდანვე მხატვრობაში უდიდესი ინტერესით, გულმოდგინებით, მოთმინებითა და სიყვარულით მუშაობდა ფრესკულ მხატვრობაზე. მოგზაურობდა საქართველოში, ავირდებოდა ფრესკებს, სწავლობდა ფრესკების ძველი, უსახელო ოსტატების ფერთა მხატვრობებს, კომპოზიციებს, პორტრეტულ გამოსახულებებს... გადმოქონდა ტილოზე და ასე თანდათან, შეიქმნა მისი უაღრესად ორიგინალური, შესანიშნავი პორტრეტული მხატვრობა...

ეს იყო ნამდვილი აკადემია, აქ შეიგრძნო და შეიყვარო ის მთავარი და აუცილებელი, რაც ასე საინტერესოსა და საყვარელს ხდის მის ხელოვნებას ადამიანებისათვის... აქვე უნდა ითქვას, რომ მხატვარს ბევრი უმუშავია ქართულ მინიატიურებზე... გადმოუღია მათი ასლები და მინიატიურების ალბომიც შეუდგენია...

ყოველივე ამას უდიდესი პასუხისმგებლობით აკეთებდა, და საერთოდ, ვინც ქეთევან მაღალაშვილის პირადად იცნობდა, მან კარგად იცის, რა მძაფრად ჰქონდა განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა... და თუ მის სურათებს გადავავლებთ თვალს, მაშინვე დავინახავთ, რომ მხატვარს მხოლოდ თავის თანამედროვეთა პორტრეტებზე უმუშავებდა. გამოჩნდა მისი იყო „თამარ მეფე“, რომელიც ისტორიული მასალებისა და ფრესკული მხატვრობის საფუძველზე შეიქმნა...

მაგვობიდანვე პორტრეტით იყო გატაცებული, სკოლაშივე მხატვარს ეძახდნენ. აქ უკეთებდა თავისი ამხანაგების სახეთა ჩანახატები, შეუქმნია მამის პორტრეტიც, რასაკვირველია, ფანქარში, სახელდახელოდ... მეგობრებს ძალიან მოსწონდათ ეს ნახატები და ისიც დაუნანებლად ასაჩუქრებდა ხოლმე მათ.

შემდეგ ოსკარ შმერლინგის სკოლაში მიიყვანეს... სამი წელი დაჰყო იქ. 1915 წლიდან მოსკოვის ფერწერის,

ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში სწავლობს. რუსეთში გატარებული წლები ძალზე ნაყოფიერი იყო. დადიოდა მუზეუმებში, ათვალიერებდა რუსულ და ევროპულ პორტრეტულ მხატვრობას, ნახულობდა სამხატვრო გამოფენებს, ამ შთაბეჭდილებებმა გაამდიდრეს მხატვრის ცხოვრება, მისი შემოქმედებითი ფიქრი...

მაგრამ სკოლის დამთავრება ვერ შეძლო. რევოლუციის პერიოდი იყო და დროებით სამშობლოში ჩამოსულმა, ვეღარ მოახერხა მოსკოვში დაბრუნება.

თბილისში სურათების ეროვნულ გალერეაში მიიწვიეს. მხატვარი კვლავ თავისი საყვარელი საქმის გარემოცვაში მოხვდა. ნაცნობები და მეგობრები იყვნენ მისი მოდელი. დღეს ამ პორტრეტებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მხატვრის პირველი პერიოდის ნაწარმოებთა შორის. შემდეგ გაემგზავრა საზღვარგარეთ...

პარიზში ამ დროს იმყოფებოდნენ დავით კავაძეც, ლადო გუდიაშვილიც, ელენე ახვლედიანიც, შალვა ქიქოძეც... ქეთო მაღალაშვილი ჯერ გერმანიაში ჩავიდა, მიუნხენში, კერძო სტუდიაში სწავლობდა. შემდეგ პარიზში...

„გათენებისას წვიმიან დღეს ჩავიდა პარიზში. წინასწარ დევეშა გავუგზავნე ლადო გუდიაშვილს, რომ დამხვედროდა, მაგრამ დრო შეეშალა და სადგურზე მართო აღმოვჩნდი... მნქანა ვიპოვე და მის სამყოფელს მივაგენი“...

შემდეგ დაიწყო დაძაბული მხატვრული ცხოვრება... იზოგა სახელოსნოც... სწავლობდა კოლაროსის ცნობილ აკა-

დემიანო და მდიდარია ეს გალერეა თანამედროვეთა სურათებისა. გვასხედება მაღალაშვილის ნამუშევრების გამოფენა სამხატვრო გალერეაში, 1962 წელს, გამოფენის განხლის დღეს აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა თქვა: ეს სურათები მომავალ თაობებს ისევე უამბობენ ჩვენს თანამედროვე ადამიანთა ცხოვრებაზე, მათს ფიქრებსა და განცდებზე, როგორც ყინწვისის ანგელოზის თვალეში გვიამბობენ თავის თანამედროვე ადამიანთა შესახებო...

აი, ეს სიტყვა, რომელიც საქართველოს რადიოს ოქროს ფონდს შემორჩა ამ დღის სახსოვრად (იბეჭდება პირველად):

ნიკო კეცხოველი: – როდესაც ერის ცხოვრებას თვალს გადაავლებენ, როდესაც მის წარსულს მოხსნიკავენ, უეჭველად, პირველ რიგში გამოჩნდება ანა მეფენი და სარდლები, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ერის სულიერ კულტურას ქმნიან.

როდესაც საზერძნებო ლაპარაკობენ, არისტოტელესა და სოკრატეს გვერდით, უეჭველად წინ მოდიან ის ადამიანები, რომელთაც შექმნეს ის მრავალი ნახატი თუ ქანდაკება, რომელიც დღემდე ცოცხლობს და აღაფრთოვანებს ადამიანებს.

როდესაც საქართველოს ისტორიას თვალს გადავავლებენ, რუსთაველისა და პეტრინის გვერდით უეჭველად ყინწვისის ტაძრიდან გადმოიხედავს ყინწვისის ანგელოზი, თავისი ნათელი თვალეებით...

შესაძლოა, ეს არის ქართველი ქალის, ქართველი ადა-

უბი ზოდები ქეთევან

„მე პორტრეტი ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა... ქეთომ მაჯობა...“
ელენე ახვლედიანი.

დემიანო... ხვდებოდა მხატვრებს, დადიოდა მუზეუმებში, ეცნობოდა მსოფლიო ხელოვნების შედეგებს... ამ დროს პარიზში უამრავი ერთმანეთის საწინააღმდეგო სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობა არსებობდა და ახალგაზრდა

დაიწყებდა შემოქმედების ძნელი არ იყო მათ გავლენაში მოქცევა. ქეთო მაღალაშვილი ისე, როგორც მისი ქართველი მეგობარი მხატვრები, ცდილობდნენ შორს ყოფილიყვნენ ამ გავლენისგან. მაღალაშვილი სწავლობდა, იღებდა იმას, რაც სჭირდებოდა... ესაა მისი დამსახურება და მიზეზიც იმისა, რომ თვით პარიზის პერიოდში შესრულებულ ნამუშევრებშიც სრულიად დამოუკიდებელი და თვითმყოფად მხატვარი ჩანს. იგი პარიზში, ამ უამრავი, საინტერესო გატაცებების და ექსპერიმენტების სფეროში თავისი თავისა და ქართული ტრადიციების ერთგული რჩება. ეს ყოველივე შეუმჩნეველი არ დარჩა პარიზის პრესას და მხატვართა ერთერთ გამოფენაზე, ხაზგასმით მიანიშნა: ქეთო მაღალაშვილის სურათები განსაკუთრებით მიმზიდველი იმიტომ არის, რომ იგი „უმრალეო და მართალია“, არ მისდევს მოდას, მრწავივალედ გადმოსცემს ადამიანის ფსიქოლოგიურ განცდას“.

ამავე პერიოდში შექმნილი მშვენიერი პორტრეტები ელენე ახვლედიანისა, პიანისტი ორმედიანის, სუსანა ღამბაშიძის, ფელიქს ვარლამიშვილისა და სხვა.

1926 წელს მხატვარი სამშობლოში დაბრუნდა.

სწორედ სამშობლოში ელოდა მის პოეტურ შთაბეჭებას ფრთაშესხმა. აქ დაიწყო ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება. დღესაც თუ მაყურებელს ადევნებებს და უყვარს ქეთო მაღალაშვილის ხელოვნება, ეს იმიტომ, რომ მისი მთავარი ამოსავალი არის სიმართლე...

სახელოსნოში მხატვრის რამდენიმე პეიზაჟი ჰქონდა. ისინი სხვადასხვა დროს პოეტური გატაცებით უხატავს ხან საგურამოში, ხან თელავში, ხანაც თბილისის მიდამოებში; აქვეა ნატურმორტები... ესაა ლირიკული, ლამაზი, პარმონიული სურათები... ამ ნამუშევრების გამო თქვა ცნობილმა მხატვარმა, მისმა უახლოესმა მეგობარმა ელენე ახვლედიანმა: „ქეთომ რამდენიმე პეიზაჟი დაახატა და ყველა მშვენიერია, მე კი პორტრეტი ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა... ქეთომ მაჯობა...“

ქეთევან მაღალაშვილის მთავარი გატაცება მაინც ადამიანია... საოცარია, რა დიდი ინტერესით და სიყვარულით უმუშავებდა მხატვარს ამ თანამედროვე მრავალ-

მანის თვალი, რომელიც საუკუნეთა შორეთიდან დღევანდელ საქართველოს უქცურის... როდესაც ათვალთ-ერებ საქართველოს ისტორიას, უეჭველად გელათის კედლებიდან გადმოიხედავენ ის გმირები, რომელთაც ჩვენი სამშობლო დღევანდლამდე მოითმენს.

აი, მე როდესაც თვალს ვავლებ ჩვენი მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებას და გამოფენას, ვხედავ იმ ყინწვისის ანგელოზებს, იმ სარდლებს და გმირებს, რომლებიც დღეს ჩვენი ცხოვრების ტაძრის კედლებიდან იცქირებიან და ეს სურათები ჩვენი შთამომავლობას ისევე აღაფრთოვანებენ, როგორც ჩვენ ადგავთ-როვანებს წარსულის შესანიშნავი ხელოვნება...

მსბძმარი ხშირად აღნიშნავდა, რომ მას უფრო მეტად იმ ადამიანთა პორტრეტებზე მუშაობა ეადვილებოდა, რომელთაც იცნობს, რომელთა შემოქმედება და ცხოვრება მისთვის ახლოდგომია. „ხდება ხოლმე, რომ ადამიანს სულ სხვანაირი თვალით უყურებ, – სურათზე მუშაობის დროს კი სხვას ხედავ... ეს პროცესი ძალზე რთული და ინტენსიურია, მხატვარსა და მოდელს შორის უაღრესად მჭიდრო კონტაქტი მყარდება... ამ დროს ადამიანი ცვალებადი განწყობისაგან თავისუფლდება და თავისთავთან რჩება... და თუ ამ მომენტის პოვნა შესძელი, უკვე ვარგად არის საქმე... სურათი მართალი გამოვა, მთავრებ მთავარი ნამდვილი ხასიათის განხნა...“

მუდამ გატაცებით ლაპარაკობდა, მაგალითად, მის მიერ შექმნილ ელისო ვინსალაძის პორტრეტზე... „ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო ამ გარეგნული და შინაგანი მშვენიერებით სავსე ნამდვილი პორტრეტზე მუშაობა... ჩვეულებრივ, ხშირად ადამიანებს უჭირთ ხოლმე საათობით ერთ მდგომარეობაში გაჩერება. ეს კი მუშაობის პროცესზე ახდენს გავლენას. ელისო ამ მხრივს ნიჭიერიყო“.

ქეთევან მაღალაშვილს რამდენჯერმე დაუხატავს, აგრეთვე ცნობილი მსახიობის მედეა ჯაფარიძის პორტრეტიც. ერთ საინტერესო ამბავს გავისხენებთ: თუ ერთ ტანსაცმელში... სურათის რეპროდუქცია ქართულის გარდა, სხვა ურუნალეებშიც დაიბეჭდა. ერთი ურუნალე „რამბოტიკაში“. იგი უნახავს პატიმარ ქალს და აი, მედეა ჯაფარიძემ აღმა-თიდან მიიღო ამ ქალის წერილი. სთხოვდა: მე უდანაშაულოდ მოვხვდი საპატიმროში, არავინ პატრონი არ მყავს და ასეთი ნათელი, კეთილი თვალებების ადამიანმა არ შეიძლება ჩემს თხოვნაზე უარი

თქვას და არ შეეცადოს, რომ დამეხმაროს... მედეა ჯაფარიძემ მართლაც იზრუნა ამ ქალზე... მართლაც გამოირკვა მისი უდანაშაულობა და გაათავისუფლებინა.



იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი



თამარ მეფე

ასეთ ზუსტ რეაქციას იწვევს მხაველეთში ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტები. ესაა ფსიქოლოგიური, ადამიანის სულის წვდომის და დანახვის დიდი ხელოვნება.

კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტები მხატვარს სხვადასხვა დროს შეუსრულებია.

„მასზე მუშაობა ძალიან მიჭირდა, ერთი წუთითაც არ ისვენებდა, თანაც ძალიან ცოტა ხნით მოდიოდა, – ხშირად დიმილით უთქვამს მხატვარს: და თუ რითიმე ეს პორტრეტი მაინც ჰგავს გამსახურდიას, ეს უფრო მისი შემოქმედებით მიღებული შთაბეჭდილების შედეგია, ვიდრე პიროვნებისა...“

ორივე პორტრეტში ძალიან კარგად, ღრმადაა გადმოცემული ჩვენი სახელოვანი მწერლის პიროვნების თავისებურება, მისი ამბავი, პოეტური ბუნება, რომელიც ყოველთვის ტრავმას შუალედს, გარკვეულ დისტანციას მნახველსა და რთული ხასიათის და ნებე-ლოზის მწერალს შორის.

განსაკუთრებული სიფაქიზით დაუმუშავებია მხატვარს



ტინათინე ურდია

ლოვე ამაზე გვესაუბრება სადად, თავშეკავებით, კეთილი გულით. მისთვის მთავარია შინაგანი არსი ადამიანისა... ყოველ ადამიანთან შეხვედრა ადვილად და მთელ ამ დროის განმავლობაში, ვიდრე მასზე მუშაობს, მასზე ფიქრითაა სავსე. არც ისაა შემთხვევითი, რომ ხშირად უბრუნდება ერთსა და იმავე მოდელს... ამისთვის ბევრი მიზეზი აქვს. სიყვარული, სიმპათია, ზოგჯერ თვითონ მოდელის მრავალმხრივი ხასიათი, ბუნება. გავიხსენოთ ვერნიკო ანჭაფარიძის, რიხტერის, ელენე ახვლედიანის, ელისო ვინსაძის პორტრეტები...

ვერნიკოს სახე მის მიერ განსახიფრებული მარგარიტა გოტიეს შთაბეჭდილებით შეუქმნია.

ბოლო დროს ნოდარ დუმბაძის პორტრეტი დაამთავრა... „მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან მომწონდა ის შუბანიზმი, კაცთმოყვარული გრძობა, რომელიც ასე უშუალოდ და ლამაზად ჩანს მისი წიგნებიდან.“

სწორედ ეს იყო მთავარი ჩემთვის, როცა დუმბაძის პორტრეტზე მუშაობა დაიწყე და სურათშიც ამ მთავარისათვის შევეცადე ხაზი გამესვა“.

ნიძის და განსაკუთრებით ვინსაძის, შედეგები. მხატვრის ძირითად მიღწევად მიმაჩნია ნაზი და კეთილი დამოკიდებულება თავისი მოდელისადმი.

...ამაღლებელი კოლორიტული გამოხატულებით, ფორმის პლასტიკურობა, სილუეტის სიახლე და ყოველივე ამასთან, რაც მთავარია, გამოსახულების მეტყველი ხასიათი – აი, რა მოცემს მე ვინსაძის და სხვა პორტრეტებში, რომელიც ახალ პერიოდს ეკუთვნის. სასიამოვნო და სასიხარულოა ნახვა იმისა, რომ მხატვარი როგორ მიდის ყოველთვის წინ იმ ლამაზი შინაგანი სამყაროს გასახსენებლად, რომელსაც მნახველის წინაშე შლის.

მხატვარი იური ვასილევია. მოვიტანო კიდევ ერთ წერილს. ამავე წლის ივნისში მხატვრის ნამუშევრების გამოფენა ბათუმში მოეწყო. აქ იგი უნახავს პატარა ბავშვს და თავისი შთაბეჭდილება წიგნის ბოლო ფურცელზე ჩაუწერია.

„პატ. ქეთევან! მე ერთი პატარა რატყველი მიჭი ვარ და ბათუმში სტუმრად ვიმყოფებოდი. ბათუმის შთაბეჭდილებებიდან ყველაზე ძლიერი და დაუვიწყარი თქვენი სურათების დათვალიერებით მიღებული სიამოვნება.“

ასეთი გამოფენა პირველად ვნახე. ამ დღიდან იწყება ჩემი სიყვარული მხატვრობისადმი. ძალიან მინდა იმ ადამიანის ფოტო მაინც მენახა, ვინც ასეთი კარგი სურათები დახატა.

მურადი. 1962 წ. 30 ივნისი“

მაღალაშვილის ცხოვრებიდან

ხელი. საერთოდ, ხელით ხატვა, ცნობილია, რომ ძალიან ძნელია. უდიდესი მხატვრები ხშირად გაურბოდნენ მას... ქეთო მაღალაშვილი კარგად ახერხებდა ხელით მონახაზით ადამიანის სახით გადმოცემას... გავიხსენოთ, თუ გნებავთ, რიხტერის პორტრეტი... ეს შესანიშნავი ნამუშევარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მის პორტრეტებში... რიხტერთან მხატვარს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა და მის ფოსტაში ისეთი ცნობილი ადამიანების წერილების გვერდით, როგორც არის ყველა სომინოვი, ნეიჰაუზი, შანს ფოხტი და სხვები, ყველაზე მეტი რიხტერის წერილია. მას შეეძლო დაუსრულებლოდ ელაპარაკა ამ დიდი ხელოვანის შესახებ, მის შემოქმედებაზე, მის ადამიანურ ხასიათზე. „რიხტერის პორტრეტი ისეთივე მდიდარი და ღრმადაა საინტერესო, როგორც მისი დიდი ხელოვნება, საოცრად მთლიანი და შარშონიული ადამიანია...“

თვით რიხტერი უდიდეს პატივს სცემს ქეთო მაღალაშვილის მხატვრობას. ბევრი მისი ნამუშევარი რიხტერის საკუთრებაა. ამ რამდენიმე წლის წინ მან თავის შინაგან მაღალაშვილის სურათების გამოფენა მოაწყო, სადაც მრავალი მნახველი მოდიოდა და მათი მეგობრივი ყოველთვის რიხტერი იყო. მას ძალიან ჰყვარებია მუსიკოს ვალენტინა კუტინას პორტრეტი... პირველად როცა სურათები ჩაიტანეს მოსკოვში, კუტინას პორტრეტზე მოუხდა წასვლა და იქიდან მოსწერა მხატვარს... „ის პორტრეტი, როგორმე მომეწვინებინა, ან თვითონ შენ ჩამოიტანეო“. თავისი ტახტის წინ, კედელზე დაუკიდია... „ჩემზე ჯადოსნურ ზეგავლენას ახდენს“.

ვინც კუტინას იცნობდა, მათ აოცრებდა მხატვრის თვალით დანახული სახე ამ ქალისა; საოცარი, გამოუცნობი ტრაგიკობი, რომლითაც სავსეა ეს სურათი, მნახველზე მართლაც მაგიურ ზემოქმედებას ახდენს... თითქოს მისი ბედისწერის წინასწარმეტყველური წამია მასში ნაპოვნი და დატყვევებული.

რომღონე ჩანს, მხატვრის თვალი ისეთ რამესაც ხედავს და ამჩნევს, რასაც ჩვენ წლების მანძილზე ვერ დავინახავთ. ერთხელ უკონალო „ნაუკა ი ჟინში“ იყო პატარა ცნობა, რომ ინგლისში ლორდმა მაღალაშვილმა ცნობილ მხატვარს გილბერტ სტიურარტს დაუკვეთა თავისი ძმის გენერალ ფიშის პორტრეტი, მხატვარმა სურათი დაამთავრა.

– ეს რაა... მე მის სახეში ვხედავ სიგიჟის ნიშნებს, – წამოიძახა მაღალაშვილმა. ფიშის ინტოვიზი ჩავიდა. ერთი თვის შემდეგ პირველი ცნობა, რომელიც ძმამ მიიღო, იყო ის, რომ სიგიჟის მოვლენების გამო ფიშსმა თავი მოიკლა.

– დემურო ჩემო, რას ნიშნავს ეს? რა უცნაურია, – იმეორებდა მაღალაშვილი. – მე დახატე ისე, როგორც დავინახე, – უპასუხა მხატვარმა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტის განზოგადება არ შეიძლება, მაგრამ იგი ძალიან საინტერესოა... ხელოვნების ძალაც იმაშია, რომ ხშირად ის გავრძობინოს და დაგანახოს, რასაც ჩვეულებრივი თვალი ვერ ხედავს.

კედელზე რეჟისორ ტოვსტონოვოვის სურათი ჰკიდია. „პირადად არ ვიცნობდი... დამირეკეს, მის პორტრეტს ხომ არ გააკეთებთო. ასეთ შემთხვევაში დიდი ხალხისთან ვიწყებ მუშაობას, მაგრამ მაინც დავთანხმდი. სამჯერ იყო... ამიტომაც დაუმთავრებელი დარჩა“...

სურათი მართლაც დაუმთავრებელია, მაგრამ სწორედ ეს ახდენს, ალბათ, მნახველზე ზეგავლენას. მაძიებელი თვალში, რომელიც შესანიშნავადაა მოხაზული, უკვე ქმნის მთლიანობის შთაბეჭდილებას... ტუჩები თითქმის მეტყველებენ. მეტყველებენ მის შინაგან სწრაფვაზე, ხასიათზე...

ქეთო მაღალაშვილის სურათებში პირველი რასაც გრძობ, არის ის, რომ მხატვარს უყვარს ადამიანი, უყვარს, ის, ვისაც ხატავს, ვის ხასიათსაც ხსნის და ყოვე-

ვისაც საშუალება ჰქონდა შეხვედროდა ქეთევან მაღალაშვილს, ესაუბრა მასთან მხატვრობაზე, ადამიანებზე, ცხოვრებისეულ ამბებზე, სამუდამოდ აღებეჭდებოდა სლოგანში ამ შესანიშნავი მხატვრის უაღრესად საინტერესო მოსაზრებები ხელოვნების საკითხებზე... ლიტერატურაზე, მუსიკაზე... ყოველივე ეს მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო... მათ გარეშე არასოდეს არ უცხოვრია...

და, აი ახლაც... მის სახელოსნოში, როცა უკვე აქ მომსვლელებს აღარ ხედედა თმამეფერცხილი მშვენიერი სახის მოხუცი მხატვარი, ისევე ცოცხლობს მისეული ფიქრი და განცდა... ყველაფერი ისე – როგორც მის დროს და ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს კარი გაიღება და თვითონაც შემოვა... შემოვა ისეთივე შთაგონებით სავსე, ისეთივე შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული და გვეტყვის, რომ მისიანი ადამიანები არ შეიძლება დამშვიდდნენ, რომ მან კიდევ უნდა გააკეთოს თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის რაღაც კარგი... ტილოზე აღებეჭდოს თანამედროვეთა სახეები, რომელთა ნახვისას მომავალი თაობები შეიგრძნობენ დღევანდელი ცხოვრების მაჯისცემას, ფიქრს.

ჩვენს ხელთაა შთაბეჭდილებათა ფიგნი მხატვრის პერსონალური გამოფენიდან. ხშირად ჩანაწერების ავტორთა სახელი და გვარიც კი გაურკვეველია...

რამდენიმე ამონაწერი: „დიდი კმაყოფილებით დავათვალიერე სახელოსნო, ქართული მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე.“

პორტრეტის დიდი ოსტატის მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის შინაგანი სულის სამყაროს გამოხატულება.

დიდი მადლობა მხატვარს სიამოვნებისათვის, რომელიც განვიცადე ამ შინაარსიანი გამოფენის დათვალიერებით. ვუსურვებ ქ. ქეთევანს ხანგრძლივ სიცოცხლეს ხალხის კულტურის გასამდიდრებლად.

პროფ. ელდარ ნადირაძე 7/XII-62 წ.“

„უდიდესი სიამოვნებით დავათვალიერე გამოფენა. მათგან ასეთი დიდი სიყვარული პორტრეტისადმი, რაც ამაჟამად იშვიათობაა.“

განსაკუთრებით გამაკვირვა ადრეული პერიოდის პორტრეტებმა – ახვლედიანი, ნიკოლაძე. შესანიშნავია 40-50-იანი წლების პორტრეტების სურათი, გამოყოფთ ნეიჰაუზის, რიხტერის, ჩიქოვანის პორტრეტებს.

სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ მაღალაშვილმა, რომელმაც გავაკვირვა ადრინდელი სურათების დიდებულებით, გვიანდელ ნამუშევრებშიც იპოვა და შეითავისა ახალი. ეს მას უსათუოდ დიდი ოსტატების რიგებში აყენებს. მთავარი ის არის, რომ აქაც თავისი თავის ერთგული დარჩა. ისეთი პორტრეტები, როგორცაა შედეგ-

ცხადია, ჩანაწერი მხატვარს სიამოვნებას მიანიჭებდა... მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაიწერა, საკმაოდ დიდი დრო გავიდა... მურადმა ალბათ, კარგა ხნის, სკოლაც დაამთავრა... იქნებ უნივერსიტეტიც... შესაძლოა, ცხოვრების გზად სწორედ ხელოვნება აირჩია, შესაძლოა, სხვა რამ... მაგრამ

სადაც არ უნდა იყოს იგი, ისეთი ფაქტი განცდები ალუქრავს მის ბავშვურ სულში მხატვრის ნამუშევრებს, რომ გვკვება, ეს სიფაქიზე და კეთილშობილება მთელი ცხოვრების მანძილზე გაპყვება. ეს ფაქტიც ერთხელ კიდევ მჭევრმეტყველურად მიგვანიშნებს ქეთევან მაღალაშვილის ხელოვნების დიდ შემოქმედებით ძალაზე.

ჩვენს თვალწინაა მხატვრის მიერ განვლილი ვრცელი გზა, სადაც ძიებებითა და აღმოჩენებით, სიყვარულით, სინაზით...

მიდის დრო... ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე. როცა ის პირველად იწყებდა ხატვას, სულ რამდენიმე ადამიანი იყო მაშინ საქართველოში ამ საქმით გატაცებული. ახლა მხატვართა ახალი გამოფენები ეწყობა, ჩნდება ახალ-ახალი სახეები, მოდიან ახალ-გაზრდები... მათ ახალი ფიქრები და სურვილები მოაქვთ... ქეთევან მაღალაშვილი სიცოცხლის ბოლომდე თავისი რწმენის ერთგული დარჩა და მაინც, თუ გამოფენებზე ჩვენ ვვლავ და ვვლავ ვხვდებით მის ახალ ნამუშევრებს, ვგრძნობთ, რომ ისინი ახალი არა მარტო იმის გამო, რომ მოგვიანები დაიხატა, მათში მხატვრის ახლებური ფიქრი, ხედავდა მაძიებლობა ჩანს... ამაშია, ალბათ, ძალა მისი ხელოვნებისა.

ეს სურათები ისევე მოუთხრობენ მომავალ თაობებს მაღალაშვილის თანამედროვეთა ცხოვრებასა და ფიქრებზე, ისე როგორც დიდი წინაპრების საქმეები გვიამბობენ მათივე თანამედროვე გარემოზე...

ტინათინე კობალაძე



ვაჰა-პაშაველი და ქეთევან მაღალაშვილი

მალაქი, როგორც ყველა უნდა მოინახულოს

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონი მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია, სადაც ჩასული კაცი ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამორჩეულ რამეს ნახავს.

ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლოა დედოფალ ელისაბედ II-ის სახელობის გოდოლზე საათი ბიგ ბენი, აქაური ლუდხანები კი, ანუ პაბები, ძალიან კოლორიტული ადგილებია, რომელთა სტუმარს თავი დროში მოგზაური ჰგონია. თავად განსაჯეთ: ყველაზე ძველი პაბის Lamb and Flag-ის მეპატრონემ ალკოჰოლის გაყიდვის ლიცენზია... 1623 წელს მიიღო, რის შემდეგ სულ მუშაობს და ხალხს მასპინძლობს!



დედაქალაქის ცენტრალური რაიონები დიდი ხანია მთელ მსოფლიოში ლეგენდებდა იქცა: მაგალითად, თეატრალური კვარტალის შუაგულში განლაგებული კონვენტ-გარდენი ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული მოედანია, რომელმაც თავისი სახელწოდება ჯერ კიდევ იმ დროს მიიღო, როცა იქ ქუჩებისა და სახლების მაგივრად ვესტიმენტების სააბატოს ბალები იყო. ნარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს სტუმრებზე „სითი-ჰოლი“ – კვერცხის ფორმის მქონე შენობა, რომელშიც ლონდონის მერიაა, მოთავსებული. „სითი-ჰოლი“ მდინარე ტემზის მახლობლად მდებარეობს, იგი ოთხი ათასი მინის პანელითაა დაფარული, რომელთაგან არც ერთი არ მეორდება, ნაგებობების შიგნით, პირველიდან მეათე სართულამდე, უზარმაზარი ხვეული კიბე ადის.

ეგზოტიკის მოყვარულთ უდავოდ მიიზიდავს სოხ – ლამის კლუბებით, მოღიჯილი მალაქებითა და პიკანტური გართობების „დანესებულებებით“ ცნობილი

უბანი. სიჭრელისა და ქუჩებში მჩქეფარე ენერჯის მიუხედავად, სოხ ერთობ უსაფრთხო უბანია, რაც, როგორც ჩანს, იმით აიხსნება, რომ აქ ყველაფერი ძვირია, ამიტომ პუბლიკაც შესაფერისია.

„ნამსხვრევი“ – ასე ეწოდება 301 მეტრი სიმაღლის, ერთიანად მინით დაფარულ ცათამბჯენს, რომლის 68-ე და 72-ე სართულებს შორის პანორამული მოედნიდან ლონდონის გასაოცარი ხედი იშლება. ჩქაროსნულ ლიფტებს კი მნახველები იქამდე სულ 30 წამში აპყავთ.

სურათების ეროვნულ გალერეაში ლეონარდო და ვინჩის, რუბენის, ტიციანის, ვერმერის, ვანგოგის, ბოტიჩელის, რაფაელის, ველასკესის, სხვა დიდ შემოქმედთა ორ ათასზე მეტი შედეგია თავმოყრილი. გალერეის ტერიტორიაზე არის სახელოვნებო სახელოსნოები, სადაც მუსიკის მოსმენა, კინოს ნახვა, ანდა სულაც ღვინის დაგემოვნება შეიძლება.

ლონდონის ღირსშესანიშნაობათა შორის დიდებული გარდა არის ასევე ერთობ სახალისო ღირსშესანიშნაობები, ვთქვათ, თხელი „სახლი“ და „ხე-შუქნიშანი“. პირველი მათგანი სამხრეთ კენსინგტონის უბანში მდებარეობს და მისი ფასადის სიგანე მხოლოდ ორი მეტრია. „ხე-შუქნიშანი“ კი ერთ საძირკველზე გამართულ ორ ათეულ შუქნიშანს წარმოადგენს და დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის მჩქეფარე ცხოვრებას განასახიერებს.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ლონდონში ერთი ანდა, ორი-სამი დღითაც ჩასვლას აზრი იმითომ არა აქვს, რომ ჩამოთვლილ ღირსშესანიშნაობათა სანახავადაც კი (რომელიც მის საოცრებათა ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ), ეს დრო ნამდვილად საკმარისი არ არის.



ჩვენი „აპჯარი“


ბანი – ესაა ხერხემლიან ცხოველთა გარე საფარი, რომელიც სხეულს გარეგან შემოქმედებისგან იცავს, სუნთქვაში, თეორმორეგულირებაში, მიმოცვლისა და მრავალ სხვა პროცესში მონაწილეობს, თანაც ყველაზე დიდი ორგანოა.

იგი სამი ფენისგან – ეპიდერმის, დერმისა და კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედოვან ნასგან (ჰიპოდერმისგან) შედგება; მოზრდილი ადამიანის კანის ფართი 1,5-2,3 კვადრატული მეტრია; ადამიანის სხეულის წონის 4-6 პროცენტს კანი (ჰიპოდერმის გარეშე) შეადგენს, ჰიპოდერმიანად – 16-17 პროცენტს, რომლის სისქე მუცელსა და დუნდულზე 10-ზე მეტ სანტიმეტრს შეიძლება აღწევდეს; ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი კანი ათასზე მეტჯერ ახლდება, ხოლო გამოცვლილი კანის წონა 18 კილოგრამს აღწევს; ცხიმის ჯირკვლები დღე-ღამეში 20 გრამ კანის ცხიმს გამოყოფენ, რომელიც შემდგომ ოფლს ერევა და საფარ აპკს წარმოქმნის; ჯანმრთელი ადამიანის კანის ერთ კვადრატულ სანტიმეტრ კანზე დაახლოებით 32 მილიონი ცოცხალი ორგანიზმი ბინადრობს; დღე-ღამეში ადამიანის კანი ერთ ლიტრ ოფლს გამოყოფს. ყველაზე მეტი ოფლის ჯირკვალი ფეხის ტერფებზე, ხელის გულზე და შუბლზე; კანის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 100-200 ტკივილის, 12-15 სიცივის, 1-2 სითბური და წნევის დაახლოებით 25 წერტილია. ერთსა და იმავე გაღიზიანებას კანის სხვადასხვა უბანი სხვადასხვანაირად აღიქვამს; ადამიანის კანის სისხლძარღვთა სისტემა 1,5 ლიტრ, ანუ ოსხანიშემში არსებული სისხლის ერთ მესამედს შეიცავს. ყველაზე სქელი – დაახლოებით 0,5 მილიმეტრის სისქის – კანი ფეხის გულზეა, ყველაზე თხელი კი თვალის ქუთუთებს ფარავს; ქალებს მამაკაცებზე გაცილებით თხელი კანი აქვთ, ამიტომაც ნაოქები უფრო ადრე უჩნდებათ; 75 წლის ასაკის შემდეგ კანის ფენები ძლიერ თხელდება, ჰიპოდერმი კი ზოგიერთ უბანზე საერთოდ ქრება; ადამიანს 10-30 ხალი შეიძლება ჰქონდეს, ზოგიერთს კანზე კი მათი ოდენობა 400-ს აღწევს.

„თიანი“ ყველაზე მკლაპრია

ჩინური სუპერკომპიუტერი „Tianhe-2“ კვლავაც მსოფლიოში ყველაზე მკლაპრ კომპიუტერად რჩება. ეს მონწყობილობა ისევე რეიტინგის პირველ სტრიქონზე მოხვდა, რომლის შედეგები გასულ ორშაბათს გამოაქვეყნეს. ამ წესსაში, რომელსაც წელიწადში ორჯერ ადგენენ, მსოფლიოს 500 უძლიერეს კომპიუტერულ სისტემას ასახელებენ.

„Tianhe-2“ სუპერკომპიუტერი ცენტრალური ჩინეთის პროვინცია ჰუნანის ქალაქ ჩანშას თავდაცვითი მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტში დაამუშავდა, რომელიც ქვეყნის სახალხო განათავისუფლებელ არმიას ეკუთვნის. მისი წარმადობა 33,86 პეტაფლოპსია, რაც იმას ნიშნავს, რომ წამში იგი 33,86 კვადრილიონ კომპიუტერულ ოპერაციას ასრულებს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში უძლიერესად „Tianhe-2“-ს მესამე წელია აღიარებენ. მეორე ადგილზეა ამერიკის ტენესის შტატის ოუტრიჯის ლაბორატორიის კომპიუტერი „TiTiane-2“ (წარმადობა წამში 17,59 პეტაფლოპსი), მესამეზე – ისევე ამერიკული სუპერკომპიუტერი Sequoia (სიმძლავრე – წამში 17,17 პეტაფლოპსი). კომპიუტერების „Top-500“-ის შემქმნელთა თქმით, შარშანდელთან შედარებით მსოფლიოში ყველაზე მკლაპრ კომპიუტერთა ათეული, ფაქტობრივად, არ შეცვლილა: მათ შორის ექვსია ამერიკის შეერთებულ შტატებში და თითო-თითო – ჩინეთში, იაპონიაში, შვეიცარიაში და გერმანიაში.



ერთ ნაბიჯს მოყოლილი ლეგენდები

„ადამიანისთვის ეს ერთი ნაბიჯია, მაგრამ კაცობრიობისთვის კი დიდი ნახტომი“ – ეს სიტყვები ამერიკელმა ასტრონავტმა ნეილ არმსტრონგმა 45 წლის წინათ წარმოთქვა, როცა მთვარეზე ფეხი დადგა.

იმ ისტორიულ კოსმოსურ მოგზაურობაში საწინააღმდეგარე – ნეილ არმსტრონგი, ედვინ ოლდრინი და მაიკლ კოლინზი. 1969 წლის 20 ივლისს პირველი ორი ასტრონავტი მოდულით მთვარის ზედაპირზე დაჯდა, 6,5 საათის შემდეგ კი ნეილ არმსტრონგი გარეთ გავიდა, თუმცა, თავდაპირველად მან ლუკიდან ნაგვით სავსე ტომარა გადაადგო. არმსტრონგის შემდეგ გარეთ ოლდრინიც გავიდა. პირველი, რის გაკეთებაც დაიწყო ასტრონავტებმა, ხტუნაობა და ფოტოების გადაღება იყო. ხტუნაობა მართლაც ძალიან საინტერესო და სახალისო იყო: აბა, განა ვინმეს არ დაინტერესებდა იმის შეგრძნება, როგორია ასტრომა, როცა შენი სხეული ჩვეულებრივზე ექვჯერ ნაკლებს იწონის? თანაც ისინი არკვევდნენ, რა უფრო მოსახერხებელი იქნებოდა – ასკინკლათი თუ კენგურუსავით ორივე ფეხით ხტუნაობა. რაც შეეხება ფოტოებს, თითქმის ყველაზე ოლდრინია გამოსახული, რადგან კამერა არმსტრონგს ეჭირა ხელში, რომელიც თავად კადრში მხოლოდ ერთხელ მოხვდა.

ასტრონავტებმა მთვარის ზედაპირზე ორნახევარი საათი დაჰყვეს, 21,5 კილოგრამი გრუნტის სინჯი აიღეს, ამერიკის შეერთებული შტატების დროშა აღმართეს და ქვეყნის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან კავშირზე გავიდნენ. მოფრიალელ დროშამ შემდგომ „მთვარის შეთქმულების“ თეორიის მომხრეებს იმის თქმის საბაზი მისცა, რომ ამერიკელები მთვარეზე არ ყოფილან, ქვეყნის კოსმოსური კვლევის ეროვნულმა სააგენტომ (ნასა) კი ფოტო გააყალბა: ვაკუუმში დროშა აუცილებ-

ლად ჩამოშლილი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი დროშის ნაჭერი დაამაგრეს, ფლაგსტოკი კი ოდნავ ქანაობდა. თუმცა კი აფრენის დროს დროშას ცუდი დღე დაადგა: მოდულის აფრენის დროს რეაქტიულმა ჭავლმა იგი წააქცია.

ამერიკელთა მთვარეზე მოგზაურობამ მრავალი ლეგენდა წარმოშვა, რომელთაგან ერთ-ერთია „მთვარის შეთქმულების თეორია“. არანაკლებ რეზონანსულია ასტრონავტების გამონათქვამები უცნაური ობიექტების შესახებ, რომლებიც მათ არა მარტო იმ გაფრენისას, არამედ სხვა ფრენების რდაოსაც მიყვებოდნენ, და უფოლოგთა გამონათქვამებმა, რომ მთვარეზე მათ უცხოპლანეტელები დახვდნენ, რომლებმაც იქ თავიანთი ბაზები დიდი ხნის წინათ ააგეს. ისე კი ბევრმა რადიომოყვარულმა, რომელიც იმ დროს მთვარესა და დედამიწას შორის რადიოკავშირს უსმენდა, საკუთარი ყურით გაიგონა: ედვინის წამოძახილი: „შეხედე, შეხედე, ისინი გვითვალთვალებენ!“

თუმცა კი ამასთან დაკავშირებულ ამბებს შორის ყველაზე პიკანტური გახდა „ლეგენდა მისტერ გორსკის შესახებ“, რომლის თანახმად, მთვარეზე ყოფნის დროს ნეილ არმსტრონგმა წარმოთქვა: „წარმატებას გისურვებ, მისტერ გორსკი!“ ამის არსი ის არის, რომ ყმანვილობის ჟამს, არმსტრონგმა თითქოს გაიგონა, თუ როგორ ეხვეწებოდა მისი მეზობელი მისტერ გორსკი თავის ცოლს... „განსაკუთრებულ“ სექსს. ქალმა კი სიცილით უპასუხა: „ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა მეზობლის ბიჭუნა მთვარეზე გაირბენს!“

თავად არმსტრონგი კი ამბობდა, რომ ეს ერთი ამერიკელი იუმორისტის მოგონილი ხუმრობაა.

თუმცა კი, აბა, ვინ იცის...



„ბატმენის“ მანქანა

მზრინაში ავტომანქანების კონცეპტუალური მოდელები უამრავი ფორმითა და ზომითაა დამუშავებული, მაგრამ GF7, მართლაც რომ, უნიკალურია.

ესაა ოთხადგილიანი რეაქტიული თვითმფრინავი, რომელსაც სახელგანთქმული ბეტმენივით, ბრიუს უენივით დიდი ფულის პატრონი ხალხისთვისაა შექმნილი და სედანის ძარიანი ავტომანქანასავით გზებზე მოძრაობაც შეუძლია. რეაქტიული ძრავების წყალობით, GF7-ს 11 კილომეტრამდე სიმაღლეზე ასვლა შეუძლია. ჰაერში იგი საათში 880 კილომეტრ სიჩქარეს აწვითარებს, თუმცა კი საავტომობილო გზაზე ელექტროძრავაზე გადაერთვება, რომელიც ფრენის დროს რეაქტიული ძრავით იტენება და ერთი მუხტით 130-დან 160 კილომეტრამდე მანძილზე გადაადგილება შეუძლია, მაქსიმალური სიჩქარე კი საათში 160 კილომეტრია.

GF7-ის შექმნა დაახლოებით 3-5 მილიონი დოლარი დაგიჯდებათ, მაგრამ, ეს თანხა თუნდაც „ჯიბეში“ გქონდეთ, მაინც ოთხი წელი მოცდა მოგიწევთ, ვიდრე მისი ავტორები გრემ ბრაუნი და დევი ფოურეტი პირველ მუშა პროტოტიპს არ შექმნიან.

25 ივნისს ნატოს ბანერალურა მდინარე ანდერს ფოტო რასმუსენმა განაცხადა, რომ 2014 წლის ნატოს სამიტზე ალიანსის არ გაფართოვდება უფრო მეტიც, მისი განცხადებით, საბარტოველო ვერ მიიღებს განცხადების სამომავლო განხილვას MAP-ს. იგი ალიანსის სრულყოფილი წევრობის მისაღწევად ფორმალური მიზანმიმართულ და მას საბარტოველო დიდი ხანია ელოდება. მისი განცხადებით ნატოსთან დაახლოების მიზნით, საბარტოველოს თანამშრომლობის „არსებითი პაკეტი“ დაპირდნენ.

ამერიკამ უნდა გააგრძელოს საბარტოველოს ნატოსთან მისწრაფების მხარდაჭერა და უნდა უზრუნველყოს, რომ საბარტოველო სამიტზე ნატოს-საბარტოველო ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად თავდაცვითი უსაქმლოებასთან დაკავშირებული უსაქმლოების პირობაც მიიღოს.

ერთობული პარტნიორი

ნატოს მომავალ სამიტზე საქართველოს ალიანსში მიპატიჟებას არაერთ ელოდა, თუმცა ნატოს გადაწყვეტილება – საქართველოსთვის MAP არ მიეცა – ძალიან დიდი დარტყმა იყო თბილისისთვის.

2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდეგ, რომლის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, საქართველომ შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაცია განახორციელა და აქტიურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში. ერაყის მისიაში ათასობით ქართველი სამხედრო მონაწილეობდა. ბალკანეთში საქართველომ ასობით მშვიდობისმყოფელი გაგზავნა, ხოლო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ამჟამად 150 სამხედრო მოსამსახურე ასრულებს სამშვიდობო მისიას.

ყველაზე დიდი წვლილი საქართველომ ავღანეთის ოპერაციაში შეიტანა. 2000-მდე ქართველი სამხედრო მოსამსახურე ომის ყველაზე კულმინაციურ პერიოდში, ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში, სამხრეთში იმყოფებოდა. პელმანდის პროვინციაში 1600 ქართველი სამხედრო ასრულებს მისიას და ამ მონაცემებით საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი ქვეყანაა. ნატოს ბევრ ქვეყანას ჯერ გარკვეულიც არ აქვს, რამდენი სამხედრო დატოვებას აპირებს ავღანეთში, საქართველო კი უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ავღანეთში მისიის შესრულებას 750 სამხედრო მოსამსახურე გააგრძელებს. გარდა ამისა, 2015 წელს საქართველო ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს შეუერთდება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველო ევროპის ქვეყნებისთვის სამაგალითია.

გრძელი გზა ნატოსკენ

საბარტოველო ნატოში განევრების პროცესი 2008 წელს, ბუქარესტის სამიტზე მიიღო. მაშინ ამ გადაწყვეტილებას მხარს ყველა წევრი ქვეყანა არ უჭერდა, განსაკუთრებით კი ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.


ნატოს წევრ ზოგიერთ ქვეყანას ალელვებს, რომ საქართველოს ნატოში განევრებას, შესაძლოა, რუსეთთან ავტომატურად ომის დაწყება მოყვას სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის გამო. ქართველი ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ისინი თანახმა არიან ნატოში შესვლაზე იმ პირობით, თუ ნატოს მეხუთე მუხლით განსაზღვრული უსაფრთხოების გარანტიები ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ გავრცელდება, ვიდრე ეს საკითხი რუსეთთან მშვიდობიანი გზით არ მოგვარდება. ამის დასამტკიცებლად საქართველომ განაცხადა, რომ მზად არის, ხელი მოაწეროს ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას, რასაც არ აკეთებს რუსეთი.

რეაგირება სამიტზე მოლოდინი გაზარდა

ბევრის გასაოცრად, 2012 წელს ჩიკაგოში ნატოს სამიტზე ალიანსის გაფართოების საკითხი დღის წესრიგში არ იდგა. ნატოს გაფართოების მხარდაჭერა დასამტკიცებლად საგარეო საქმეთა მინისტრებმა 28+4 ფორმატის შეხვედრა გამართეს, რომელსაც ასპირანტი ქვეყნებიც ესწრებოდნენ. ის ფაქტი, რომ ეს შეხვედრა სახელმწიფოთა ლიდერების დონეზე არ გაიმართა, საკითხის ნაკლებ აქტიულობაზე მიანიშნებდა.

მაშინდელი სახელმწიფო მდივანმა პილარი კლინტონმა კრიტიკას ასე უპასუხა: „დარწმუნებული ვარ, ეს სამიტი ბოლო სამიტია, რომელზეც გაფართოება არ მოხდება.“ ჯონ კერიც დიდ ენთუზიაზმს არ იჩინა ამ საკითხის მიმართ და პრეზიდენტი ობამაც პირველი ამერიკელი პრეზიდენტი იქნება, რომელიც ცივი ომის დასრუ-

ნატოს სამიტი 2014: საქართველოს მხარდაჭერის უსაქმლოება



ლები შემდეგ ნატოს გაფართოების საკითხს არ განიხილავს.

დასავლელი პოლიტიკოსები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას. ჩიკაგოს სამიტის დეკლარაციაში ხაზგასმითაა აღნიშნული 2012 და 2013 წელს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობა. ამ არჩევნებმა მშვიდობით ჩაიარა და ქვეყნის უახლეს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა.

თუმცა, ამერიკის სენატმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების გამო. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ „პროცესს, შეხადლოა, შერჩევითი სამართლის სახე მიეცეს“. შეშფოთება გამოთქვა ნატოს სხვა წევრებმაც.

საქართველოს სწრაფი კურსის უსაქმლოება

იზისთვის, რომ ნატო საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციაზე იყოს ფოკუსირებული, ამერიკელი მმართველი გუნდის აქტიურობაა საჭირო. ამერიკის შეერთებული შტატების გარანტიებით ნატოს მომავალმა სამიტმა უნდა აღიაროს ის ძალისხმევა და მსხვერპლი, რაც საქართველომ ტრანსატლანტიკური უსაფრთხოებისთვის გაიღო. აშშ-მა და ნატომ:

– ცალ-ცალკე უნდა გამოაქვეყნონ სამიტის დეკლარაცია, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ნატოს მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა. ნატოს ლიდერები ხშირად თანხმდებიან ცალკეულ დეკლარაციებზე, რომელიც სპეციფიურ და მნიშვნე-

ლოვან საკითხებთან დაკავშირებით მთავარი დეკლარაციისგან დამოუკიდებლად ქვეყნდება. მსგავსი ცალკეული დეკლარაციით დაფიქსირდება ნატოს მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. ქართველი ხალხი კი მიიღებს შეტყობინებას, რომ მათი ძალისხმევა და მსხვერპლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

– უნდა უზრუნველყოს, რომ ალიანსი მკაფიოდ უჭერდეს მხარს საქართველოს მომავალ განევრებას. სამიტის დეკლარაციამ მკაფიოდ უნდა განაცხადოს, რომ ნატო-საქართველოს კომისიასთან ერთად, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოს უფრო მეტ დაახლოებას ნატოსთან.

– უნდა უზრუნველყოს, რომ „ნატოს 28+4“ ფორმატში შეხვედრა გაიმართება მთავრობის მეთაურების დონეზე. გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით ალიანსის წევრი ქვეყნების სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირები აუცილებლად უნდა შეხვდნენ ოთხი ასპირანტი ქვეყნის ლიდერებს. ეს შეხვედრა არ უნდა ჩამოქვეითდეს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, როგორც ეს ჩიკაგოს სამიტზე მოხდა.

– უნდა დაეხმარონ საქართველოს, დაიცვას საკუთარი თავი. ყველა ქვეყანას აქვს თავდაცვის შეუფალი უფლება. აშშ-მა და ნატომ უნდა მიჰყიდონ საქართველოს ანტისატანკო და საჰაერო თავდაცვის სისტემები. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სისტემები თავდაცვითი ხასიათისაა, არ არსებობს არანაირი მიზეზი, არ გადასცენ ის ქართულ არმიას.

– ნელ-ნელა უნდა შეცვალონ ქართული ჯარის წვრთნების პროგრამაც. ამზობებულია წინააღმდეგ არსებული წვრთნები უნდა ჩანაცვლდეს ადგილმდებარეობის დაცვის ოპერაციებით. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ნატოს წვრთნები ძირითადად ფოკუსირებული იყო ავღანეთში, ქართული არმიის ამზობებულია წინააღმდეგ მომზადებაზე. თუმცა, ნატოს საბრძოლო მისია ავღანეთში დასასრულს უახლოვდება და წვრთნების მიმართულებაც უნდა შეიცვალოს და ის უნდა უპასუხებდეს რეგიონში საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს.

– უნდა გაზარდონ მრავალმხრივი და ორმხრივი ტრენინგები საქართველოს შიგნითაც. რაც უფრო მეტი ნატოს წევრი სახელმწიფოს დროში იფრიალებს საქართველოში, ქართველი ხალხი მით უფრო მკაფიოდ იგდებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. სამხედრო წვრთნები არის შესამჩნევი ნიშანი ნატოს მხარდაჭერისა.

– რუსული სამხედრო ძალების ყოფნას საქართველოში უნდა განიხილავდნენ, როგორც ოკუპაციას. სამიტის დეკლარაციაში მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რამდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცი წარმოადგენს საოკუპაციო ძალას. დღემდე ბევრი ევროპული ქვეყანა ხშირად ცდებოდა და არ იყენებდა ამ ტერმინოლოგიას. ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მსგავსი, ერთიანი შეტყობინება იქნეს უდიდეს მნიშვნელობას.

განვრების გზაზე

ძარტოველზე დაუმტკიცეს ყველას, რომ ისინი უზადლო მეომრები არიან. გარდა ამისა, ისინი წარმატებით ართმევენ თავს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროგრამასაც, რაც სამაგალითია ნატოსთვის.

მომავალი სამიტი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ნატომ ხელახლა დაადასტუროს საქართველოს განევრების მიმართ თავისი პოზიტიური მიდგომა, გაძლიერდეს ნატო-საქართველოს ურთიერთობები და განვითარდეს საქართველოს თავდაცვითი პოტენციალი. გრძელვადიან გეგმაში მსგავსი მიდგომა სამხრეთ კავკასიას უფრო სტაბილურს გახდის. ალიანსმა უნდა უერთგულოს 2008 წლის განცხადებას, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.

ლუკ კოვი

დედაიწინი ზურგზე



კომანდოვანებმა არჩვენს, თუ საბარტოველოში კომანდოვანებთან იტალიური ვულკანები და სტივობოლი კი შეიძლება შენიშნო კვამლის ნაკადებით. ამ დროს „ნასაში“ განაწილდნენ იმით, რომ ფოტოგრაფების დიდი ნაწილი, რომლებიც გაკეთდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე, იგზავნება უზარმაზარ და უხარისხებელ არქივში, და სთხოვენ ვოლანტიორებს დახმარებას.

ნიმარია დაამუშავა იპოლის ციმა-ცხელაბის საწინააღმდეგო საკუთარი პრეპარატი



ფურნალისტიკის მონაცემებით, პრეპარტი დაამუშავეს ნიგერიელმა მეცნიერებმა და მას ნანოფერცული უნოდეს. დანერგვითი ინფორმაცია ნამლის შესახებ გაიხსნება მოგვიანებით. ფორჯერობით ნიგერიაში დაფიქსირებულია ებოლის ციმა-ცხელებით დაავადების 11 შემთხვევა, ეს უფრო მცირეა, ვიდრე სხვა აფრიკულ ქვეყნებში. ამ დროს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში მივიდნენ დაკვანამდე, რომ ვირუსით დაავადებულია რიცხვი შემცირებულია.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა გამოსცა ტაქტიკური რაპორტი კორეის ბათონის უფლებების 79-1 წლისთავთან დაკავშირებით



კორეის იაპონური კოლონიური ბატონისგან გათავისუფლების დღე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო დღესასწაულია ჩრდილოეთ კორეაში. 1945 წლის 15 აგვისტოს კორეელები მიიჩნევენ კოლონიური პერიოდის (1910-1945) დამთავრების დღედ, რომელიც დადგა იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ მორე მსოფლიო ომში.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი და ფინანსთა სამინისტრო „ქრადღებით უპირდაპირ“ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ბიზნესისა და მოქალაქეების მხრიდან საკითხი განადა იმასთან დაკავშირებით, რომ „როსნეფტმა“ და „ექსპონობილმა“ ამ დღეებში დაიწყეს რუსეთში ყველაზე ჩრდილოეთი ნავთობის საბურღილის – „უნივერსიტეტი – 1“-ს ბურღვა კარიბის ზღვაში. საგარეოპოლიტიკურ უწყების წარმომადგენლები დაინტერესდნენ, „ხომ არ არის რაიმეთი უადგილო ან შეუსაბამო“ ასეთი თანამშრომლობა?



ჭადრაკი

ქალთა ნაპრები მ-4 ადგილზე ბავიდა, ვაჟთა — 44-ზე

დსრულდა 41-ე საჭადრაკო ოლიმპიადი, რომელსაც 2 აგვისტოდან ნორვეგიის ქალაქი ტრომსო მასპინძლობდა. საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრებმა 44-ე ადგილი დაიკავა, ქალთა გუნდს კი სულ ცოტა დააკლდა მედლებამდე — ჩვენი გუნდი მე-4 იყო.

უკანასკნელ, მე-11 ტურში ქალთა გუნდმა 4:0 დაამარცხა გერმანია, მაგრამ მედლის მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მე-სამედ მოიგო რუსეთის ნაკრებმა, რომელმაც 2,5:1,5 დაამარცხა ბულგარეთი.

საქართველოს ნაკრების ლი-

დერმა ნანა ძაგნიძემ, რომელიც ამჯერად ისვენებდა, პირველ და-ვაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა და მცირე ოქროს მედალი მოიპო-ვა: მან 9 პარტიიდან 8 ქულა და-აგროვა. მეორე დაფაზე მეორე იყო ბელა ხოტენაშვილი, რომელ-საც ვერცხლის მედალი ერგო.

ვაჟთა გუნდმა ფრედ 2:2 ითა-მაშა სლოვენისთან და საბოლო-ოდ 44-ე ადგილზე გავიდა. პირ-ველი ადგილი ჩინელებმა დაიკა-ვეს, მეორე-მესამე ადგილებზე კი უნგრელები და ინდოელები გა-ვიდნენ.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელო-



ბის თასი ჩინეთის ჭადრაკის ფე-დერაციას გადაეცა: ვაჟთა და ქალთა გუნდებმა ერთობლივად საუკეთესო შედეგი აჩვენეს — 37 ქულა.

ორი წლის შემდეგ, 2016 წელს საჭადრაკო ოლიმპიადას აზერ-ბაიჯანის დედაქალაქი ბაქო უმასპინძლებს, 2018 წელს კი მო-ჭადრაკეთა ყველაზე მნიშვნელო-ვანი შეჯიბრება საქართველოს, ბათუმს ეწვევა.

ვაჟან ლოლიძე

კალათბურთი

მასტანო ნაცვლიშვილი: მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სულ ცოტა დაგვაკლდა

3X3 კალათბურთში მსოფლიო ტურის ევროპული ზონის მეორე ეტაპზე, რომელსაც შვეიცარიის ქა-ლაქი ლუგანო მასპინძლობდა, ტურნირის მონაწილე 16 გუნდს შო-რის „თბილისი ცელენგე 2014“-ის გამარჯვებული „ევროსტეპი“ გა-მოდინდა, რომელმაც ამ ტურნირ-ზე თბილისის სახელით იასპარე-ზა. ქართულმა გუნდმა ჯგუფური ეტაპი კი დაძლია, მაგრამ მე-ოთხედინალში იტალი-ის „მეცოსთან“ დამარცხ-და და მომდევნო ეტაპ-ზე გამსვლელი საგზაუ-რის გარეშე დარჩა.

შეგახსენებთ, რომ ქართული გუნდი ძირი-თადად სუპერლიგის მონაწილე შსს-ს კა-ლათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ესენი არიან: მერაბ ბო-ქოლიშვილი, აკაკი ლო-მოური და ილია ლონ-დარიძე. გუნდის მეოთხე წევრი ზურაბ მაისურაძე იყო, რომელიც ამჟამად უგუნდოდაა დარჩენილი.

ლუგანოს ტურნირის შესახებ თბილისის კალათბურთის ფედე-რაციის პრეზიდენტი, ვეტერანი კალათბურთელი ვახტანგ ნაცვ-ლიშვილი გვესაუბრება, რომე-ლიც გუნდს შვეიცარიაში ახლ-და თან.

— „ევროსტეპს“ სახელი რატომ შეუცვალეთ?

— ლუგანოში ყველა გუნდი იმ სახელით გამოდიოდა, რომელ ქა-ლაქსაც წარმოადგენდა, ამიტომ გადავარქვით „ევროსტეპს“ სახე-ლი და „თბილისი“ დავარქვით.

— თუ შეიძლება მოკლედ გვიამ-ბეთ ლუგანოს ტურნირის შესახებ.

— ტურნირის მონაწილე 16 გუნ-დი 4-4 გუნდიან ჯგუფებში გაა-ნაწილდა. ჩვენთან ერთად გერმა-

ნია და მასპინძელთა 2 გუნდი მოხვდა. მოვუგეთ გერმანელებსა და შვეიცარიელებს, კონკრეტუ-ლად კი „ციურისს“, ხოლო როცა მომდევნო ეტაპის საგზაური გა-ნაღებულ გვექონდა, „ლუგანოს-თან“ წავაგეთ. საბოლოოდ ჯგუ-ფში პირველი ადგილი დავიკავეთ და „ციურისთან“ ერთად მე-ოთხედინალში ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ. მეოთხედ-ინალში იტალიის გუნდ „მეცოს“

შეხვდით. წარმატების შემთხვე-ვაში მომდევნო ეტაპის საგზაურს ვინაღებდით. სამწუხაროდ, მომდევნო ეტაპის ერთ-ერთი საგ-ზურის მოპოვებამდე სულ ცოტა დაგვაკლდა, 17:21 წავაგეთ და ას-პარეზობას გამოვეთქმეთ.

— მეოთხედინალში თუ წააგო „თბილისმა“, მომდევნო ეტაპის საგ-ზურამდე ცოტა როგორ დაგვაკლ-და?

— სიტუაცია ცოტა ჩახ-ლართული იყო, რომელ-შიც ახლავე გაგარკვევთ. ტურნირი კონკურსგარეშე მოასპარეზე ბელგრადის გუნდმა მოიგო, რომელ-საც მომდევნო ეტაპის საგზაური ტურნირის დანყებამდე ჰქონდა მო-პოვებული. ნახევარფი-ნალში „ბელგრადმა“ „მე-ცო“ დაამარცხა. მეორე ნა-ხევარფინალში ერთმა-ნეთს სლოვენის 2 გუნდი „ლუბლიანა“ და „სლოვა-ნი“ დაუპირისპირდა.

რადგან ჩვენ ბურთების ყველაზე კარგი შეფარდება გვექონდა, მი-ნიმუმ მესამე ადგილზე გავდი-ოდით, რომელიც მომდევნო ეტაპის საგზაურს იძლეოდა. აღნიშნული-დან გამომდინარე, „ბელგრად-თან“ ერთად მომდევნო ეტაპის საგზაური მეორე-მესამე ადგილ-ზე გასულმა „ლუბლიანამ“ და „სლოვანმა“ მოიპოვეს.

ვიტალი ჯაფარიძე



ჩოგბურთი

ჯოკოვიჩის სინსინაბური უიჯლოზა ბრძოლა

რეიტინგის პირველ ნომერ ნოვაკ ჯოკოვიჩს „მასტერს 1000“-ების ტურნირთაგან მხოლოდ ცინცინატი Western & Southern Open არ აქვს მოგებული. უნინ „ნოლემ“ ოთხჯერ ითამაშა ამ ტურნირის ფინალში და საბოლოო წარმატებას ჯერჯერობით ვერ მიაღწია. წლეულს კი ბალკანელი მერვედინალიდან ჩამოშორდა შეჯიბრებას.



მეოთხედინალში ჯოკოვიჩს ესპანელმა ტომი რობრედომ 7:6, 7:5 მოუგო.

ბალკანურ-პირინეული დაპირისპირე-ბა საათსა და 44 წუთს გაგრძელდა. 32 წლის რობრედომ 5 ეისი, 2 ბრეიკი შე-ასრულა და კარიერის განმავლობაში მეორედ მოუგო ჯოკოვიჩს, ნოვაკს კი ტომი 6-ჯერ ჰყავს დამარცხებული.

ბოლო 11 წლის განმავლობაში რობ-რედომ პირველად მოახერხა რეიტინგ-სის ლიდერი ძლევა. 2003 წელს ტომიმ საფრანგეთის ლია პირველობაზე კლა-სიფიკაციის იმ დროისთვის მონიწიე პოზიციაზე მყოფი ავსტრალიელი ლე-იტონ ჰიუიტი დაამარცხა.

ცინცინატის ტურნირის მეოთხედინ-ალში რობრედო თანამემამულე დავიდ ფერერს შეხვდება.მერვედინალში ფე-რერმა რუსი მიხაილ იუჟნი საათსა და 22 წუთში 7:5, 6:0 გაანადგურა.

კობა კობახიძე

კარიერის შედეგი

კასი, რობელის წავიდა

ცოტა ხნის წინათ ლევან კობი-აშვილმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ლევანი თინეიჯერი ბი-ჭი აღარ არის და ასაკის მატებას-თან ერთად, ალბათ, თავდაც ნათ-ლად უწყობდა, რომ მისი საფეხბურ-თო კარიერა დასასრულსაკენ მი-დიოდა. წლების ამბავი ხომ იცით...

კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ერთ-ერთი ბოლო წარ-მომადგენლები არიან დამოუკიდე-ბელი ქართველი ფეხბურთის პირ-ველი თაობისა. ამ თაობას ჰყავდა ძმები არველაძეები, ქინქლაძე, დე-მეტრაძე, ცხადაძე, ქეცბაია... სხვანი და სხვანი, რომლებმაც მთელი რი-გი მიზეზების გამოისობით ვერ ითამაშეს ის ფეხბურ-თი, რასაც მათგან ყვე-ლა ქართველი მოე-ლოდა და ევროპულ საშუალო კლუბებში ჩაკარგულებისაგან ყოველი მიცემული სა-გოლე პასი თუ საშუ-ალოზე ოდნავ მაღა-ლი შეფასებაც სასია-მოვნო ამბავი იყო უიმედობით გატან-ჯული ქართველები-სათვის.

მაშინ, როდესაც ვიდეოტექნიკა სა-ქართველოში ჯერ ქართველი ახალი ხილი იყო, კარგად მახსოვს, ერთმა ჰოლანდიაში მცხოვრებმა ქარ-თ-ველმა ბიჭმა თბი-ლისში ნიდერლანდების ტელევი-ზიის მიერ გადაღებული დოკუ-მენტური ფილმი ჩამოიტანა. ბე-ერი ხმარებისაგან მონჯღრეულ და ათასჯერ ლენტაგადაბმულ-დანებებულ ვიდეოკასეტაზე ჩა-წერილი იყო ქართულ ფეხ-ბურთზე და ევროპაში მოთამაშე ჩვენებურ ლეგიონერებზე იყო.

დემეტრა უწყის, მხოლოდ ჩემს თვალწინ რამდენმა ადამიანმა გა-აკეთა ამ კასეტის დუბლიკატი და წინ და უკან გადახვევით რამდენ-მა გაცეცხა ფირი. „აეკში“ მოთა-მაშე ქეცბაიას, ჯერ ისევ „ტრაბ-ზონსფორელი“ არველაძეების, „ალანელი“ შელიასა და კიდევ „ბეერი სხვა ქართველი ფეხბურ-თელების მიერ გატანილი გოლე-ბი თუ სათამაშო მომენტები სხვებთან ერთად მეც, ფაქტობრი-ვად, ზეპირად ვიცოდი. იმ პერი-ოდში ალექსანდრე იაშვილი უსა-ხელო „ლიუბეკში“ თამაშობდა და შემოთხასხენები დოკუმენტური ფილმიდან განსაკუთრებით მახ-სოვს ერთ-ერთი ლიუბეკელი სტუდენტის კომენტარი (ლიუბეკი ხომ მთელს ევროპაში ცნობილი სტუდენტური ქალაქია).

ის გერმანელი ახალგაზრდა ამბობდა, რომ იაშვილის დარი

ფეხბურთელი „ლიუბეკისთანა“ მანანალა გუნდისთვის უზომოდ დიდი ფუფუნება იყო და იმასაც ამბობდა: „იაშვილი უცნობი სა-ქართველოდან რომ არ იყოს, იგი ახლა ალბათ უკვე „ბაიერნი“ ან „ბორუსიაში“ ითამაშებდაო“.

ადამიანი წარსულ და თუნდაც სულ ცინცხალ დამარცხებებს ძალიან ადვილად ივიწყებს და მის მოგონებებში, როგორც წესი, მხოლოდ ნათელი დღეებისა და გამარჯვებებისთვის რჩება ადგი-ლი. უბრალოდ, ადამიანის ბუნე-ბაა ასეთი, რადგან ყველაფერი ავადმოსაგონებლის ტრაგიზმში გადატანას ვერა კაცი ვერ



გაუძლებს. ალბათ, სწორედ ამი-ტომაც არის, რომ ფაქტობრივად, ვერ ნახავთ ქართველ გულშემატ-კივარს, რომელიც დეტალურად გაისვენებს, მაგალითად, კატოვი-ცეში გამართული მატჩის პერი-პუტიებს, სადაც ჩვენი ნაკრები სა-მარცხვინოდ დამარცხდა, მაგრამ ყველა გვახსოვს მავანი ევროპე-ლი ჟურნალისტის ნანწერი თუ გა-მონათქვამი, სადაც ჩვენი ფეხ-ბურთელების ქება და, ზოგადად, ქართველებისათვის სასიამოვნო ამბები იყო გაულერებული.

იმ ძველი და მიმტერულ-მომ-ტერული ვიდეოკასეტის გახსე-ნებაც სწორედ იმის დასტურია, რომ კარიერადასრულებული კო-ბიაშვილი ისევე როგორც ის ძვე-ლი და აწ უკვე ფეხბურთისათვის თავდანებებული თანაგუნდელები ქართველ ქომაგებს არასოდეს დაავინყვებთ. ჩვენი ქვეყნის და-მოუკიდებლობა სულ რაღაც 20-ოდე წელს ითვალის და ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენი ნაკრების მი-ერ რამდენიმე მოგებული მატჩის გარდა არცთუ ბევრ სასიხარულო ამბავსა და დღეს გავისვენებთ. ეს არ არის უბრალო ამბავი...

ლევან სავისკვირაძე

ავტოსპორტი

ალონსო თამისზე გაპრცელებული ჭორები უარყო



რუნებისთანავე გამარჯვებისთ-ვის ბრძოლას აპირებს.

მეორე ჭორი გვატყობინებს, რომ ალონსო „ფერარისგან“ კონტრაქტის გაგრძელების პი-რობად ხელფასის გაზრდას მოითხოვს. კერძოდ, ვითომ მან სეზონზე 50 მილიონი დოლარი მოითხოვა. ალონსომ ორივე ინ-ფორმაცია საკუთარ ტვიტერ-ზე უარყო, სადაც მას ორ მი-ლიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს.

სხვა ჭორის მიხედვით „მონ-და“ „მაკლარენისგან“ იაპონე-ლი მობილის აყვანას მო-

ითხოვს. პილოტიც შერჩეულია. ესაა 26 წლის ნაკი იამამოტო. ეს მრბოლი ამჟა-მად იაპონიის ყველაზე პრესტიჟულ სერია სუპერ ფორმულაში „მუგენის“ (ჰონდას სპორტული დივიზიონი) გუნდის პირველი პილოტის სტატუსით სარგებლობს. იაპო-ნურ ტელევიზიასთან საუბრისას მან გა-ნაცხადა, შეუძლებელი არაფერიაო...

მანუჩარ გიორგაძე

კაკალ გულში

შე რო ჩამოთრინე, გაბის სასამართლოზე ბილეთები გაიყიდება...

● ზღულის ინტერვიუ ნახეთ? ეკა ზღულაძე: „ჩვენ რეფორმების გატარების პირველ წელიწადს ძალიან აგრესიულად ვმოქმედებდით - ვაპატიმრებდით, ვაპატიმრებდით და კვლავ ვაპატიმრებდით. ამას საჯაროდ ვაკეთებდით, ტელეკამერების წინაშე, რათა ეს დამამცირებელი ყოფილიყო“. ვის ხელში ვიყავით?!

● ჩვენ კი ვვლანაობთ ამ რეცეპტების შემოღებაზე, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენით ნაკლები გამოპოუტუნებული ივლის ქუჩაში და რამდენი ამ გამოპოუტუნებულებისგან ნერვებადგლეჯილი ოჯახი დაისვენებს დროთა განმავლობაში. დახვეწენ ამ კანონს და დისკომფორტიც მოიხსნება.

● საზღვარგარეთ სახელმწიფოებრივ საქმეებზე დავდიოდით, - ნიკლაურმა. ეს სომ ნანახი მყავს და ნეტავ ის უცხოელები მაჩვენა, ნიკლაურს რომ სახელმწიფოებრივ საქმეებზე ესაუბრებოდა.

- - რას გედავებინა?
- ნიმესილი ჩამიდეს, ძმაო!
● მაგარი სასაცილო რამე და-
ვაფიქსირე ფეისბუქზე:
1. ყველას მანქანა ჰყოლია და ამიტომ „სითი პარკი“ უფრო ადელ-
ვებთ, ვიდრე ავტობუსებში მსხდომი თანაქალაქელები.
2. მიშას გაფლანგული ფულები (დაახლოებით 9 მილიონი) უფ-
რო ადელვებთ, ანუ კონკრეტულად საჯაროზე გადახდილი 6500 (ჯან-
დაბას 7000) ლარი, ვიდრე 3 კვირაში იმერლიშვილის შვილის მი-
ღებული 14 000 ლარი.
3. ქაშირის პალტო უფრო, ვიდრე 1500-ლარიანი მობილურები.
4. ველოსიპედი დაქირავება უფრო, ვიდრე ჯიპები.
5. სუშის ჭამა - ბატკნის ბარკლები.
და.შ.

წარბილოვანი ვრაზები

- 45 წლის კაცს დედის გინებით რომ გიხსენიებს მთელი სა-
ქართველო და შენს ქვეყანაში ჩამოსვლის გეშინია, ეგ თუ თავი-
სუფლებათა და მაშინ იყავი თავისუფალი და ისეირნე ველოსიპედ-
ზე პერუსს და ჩილეს საზღვარზე!
● წადი... წადი კაზანტიზზე... კაზანტიზზე, ოფელია!
● თქვენ აზრზე ხართ, ეგ რო ჩამოათრინო? მაგის სასამართ-
ლოზე ბილეთები გაიყიდება, პა ძესტიტოში!
● როცა ოფიციალურად გამოქვეყნდა, რომ ვაზელინი ურეცე-
ბად გაიყიდებოდა, ქვეყანაში შევებით ამოისუნთქა.
● ეს სასტავი რო დაადგა კაზანტიზს ჯგროდ, ზონებს რატო არ
მიადექით მაშინ?
იმენა სექსი რო კეთდებოდა და უბედურება?
ერთი სიტყვა არ მჯერა თქვენს.
წადით, კოჭი გააგორეთ, ტოლი ნახეთ და გოიმი დააგოიმეთ.
ამოკრება
ბია ბაზრიძე

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 15 აგ-
ვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№162-163 (7544))
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზ-
ნით გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რე-
გისტრაცია იწყება 2014 წლის 15 აგვისტოს დღის 12 საათზე და
დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18 საათზე, ხო-
ლო ელექტრონული აუქციონი დაიწყება 2014 წლის 15 სექტემ-
ბერს დღის 12 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემ-
ბერს დღის 18 საათზე.

სსოვნა

დამირ მანჯგალაძე

წავიდა კიდევ ერთი სამაგალითო პიროვნე-
ბა, შეიძლება ითქვას, უდროოდ წავიდა ჩვენი
დამირ მანჯგალაძე - მამულიშვილი, თავისი
საქმის უზადო სპეციალისტი, სამეგობროში გა-
მორჩეული კაცი.



დამირ მანჯგალაძის სახით ჩვენმა ტექნიკურმა
ინტელიგენციამ დაკარგა სახელოვანი ინჟინერ-
მშენებელი, პიროვნება, რომელმაც მთელი თა-
ვისი შეგნებული ცხოვრება საყვარელი სამშო-
ბლოს აღმშენებლობის საქმეში, ოჯახისა და ნაც-
ნობ-მეგობრების სიყვარულში გალია.

დამირ მანჯგალაძე 1941 წლის 4 ნოემბერს და-
იბადა თბილისში, 1963 წელს დაამთავრა საქარ-
თველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრან-
სპორტო ფაკულტეტი ხიდებისა და გვირაბების
ინჟინრის სპეციალობით. იგი გააანაწილეს უზ-
ბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში, სადაც მუშა-
ობას იწყებს საავტომობილო გზების სამინის-
ტროს ხიდმშენებლობის სამმართველოში ოს-
ტატად, ხოლო მალე ისევ მშობლიურ თბილის-
შია და მუშაობას განაგრძობს საკავშირო საპ-
როექტო ინსტიტუტის „საკვაპროექტის“ თბი-
ლისის ფილიალში ტექნიკოსად, ინჟინრად, ჯგუ-
ფის ხელმძღვანელად. 1968-72 წლებში იგი სა-
ქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ
„ორგტექმშენის“ მთავარი სპეციალისტია. 1972
წელს დაინიშნა ამავე სამინისტროს საწარმოო
სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1973 წლიდან დამირ მანჯგალაძე პარტიულ სა-
მუშაოზე გადააყვავთ და მუშაობას იწყებს სა-
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეო-
ბის განყოფილების ინსტრუქტორად, 1976 წლი-
დან კი ამ განყოფილების გამგის მოადგილედ...
1977 წლიდან 1983 წლამდე დამირ მანჯგალა-
ძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ბათუმის
საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და მთელ
საქარაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა.
1983-86 წლებში იყო საქართველოს კომპარ-
ტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა
და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამ-
გის პირველი მოადგილე, 1986-88 წლებში - სა-
ქართველოს მშენებლობის მინისტრი.

1988 წლიდან ახლად შექმნილ მშენებლობის
სახელმწიფო კომიტეტში, სადაც რამდენიმე სა-
მინისტრო გაერთიანდა, საქართველოს მშენებ-
ლობის სამინისტროც შევიდა და დამირ მანჯ-
გალაძე დაინიშნა თავმჯდომარის პირველ მო-
ადგილედ. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობ-
და 1991 წლამდე.

ბოლო წლებში დამირ მანჯგალაძე კომპანი-
ის ხელმძღვანელი იყო სტამბოლში და დიდად
ეხმარებოდა საქართველო-თურქეთის ურთიერ-
თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრ-
მავებას.

მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამ-
სახურებელი ინჟინრის საპატიო წოდება, და-
ჯილდოებული იყო „ლირსების ორდენით“, იყო
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი...

მალაპროფესიულ ინჟინერს, სახელმწიფო
მოღვაწეს, გამორჩეულ ოჯახიშვილს, რაც მთა-
ვარია, ახასიათებდა უბრალოება და თავმდაბ-
ლობა, ოჯახის სიყვარული, სამეგობრო სუფ-
რასთან იგი იყო „ლხინისუფალი“, ჭირში - გვერ-
დით მდგომი...

დამირ მანჯგალაძე მარტო თავის თავს არ
მოკვდომია, იგი ქვეყანას მოუკვდა.

ნათელში იყავ, ჩვენო ძმაო და მეგობარო!

უსალოისი მებობრები

მეუღლე ქეთინო ცინცაძე,
შვილები ვასიკო, ლიანა მან-
ჯგალაძეები, რძალი ჯოან
ბლეკი ღრმა მწუხარებით
იუწყებინ, რომ გარდაიცვა-
ლა

დამირ მანჯგალაძე
მისამართი: ჭავჭავაძის
გამზირი №75ა, V სართუ-
ლი, ბინა №8. პანაშვიდი 15,
16 VIII, 17 სთ. გამოსვენება 17
VIII, 14 სთ.

რვაწო დამირი!
გეთხოვება შენი სამეგობრო, რომელთანაც მრავალი წელი გაგი-
ტარებია, არც ჩვენს ლხინს გამოკლებიხარ და არც ჩვენს ჭირს.
გულდაწყვეტილი გაცილებთ ყველა.
ნათელი დაგადგეს!..

თინათი მეთევაშვილი, ზორის ნეფელოვი, ავთანდილ საყვა-
რელიძე, ნოდარ მიქაბერიძე, ზორის სარალიძე, ნუკრი
მანჯგალაძე, ალექსანდრე კოლაბაძე, ომარ მარგველაშვილი, თა-
მაზ შილაკაძე, მირაზ ნიკოლაიშვილი, ირაკლი შორაღანი, ჯან-
სულ ჩარკვიანი, მინდია უბრალოება, დემურ მიძაძე, ჯიბაშ
ბაბუნაშვილი, ჯუანაშვილ მხეიძე, ომარ კიქნაძე, ალექსი ჩხეიძე,
თამაზ ცინცაძე, თამაზ ზოკაძე, გურამ ფარაძე, იმრაზ მახაშ-
ვილი, ანდროს ბაბუნაშვილი, ომარ ბაბუნაშვილი, ზაურ მისიშ-
ვილი, ბივი ცინცაძე, ალექსი კაკულია, ალექსი კურცხალია.

ალიანალიანი

ავღანეთში ამერიკული ბაზა „ფინიქსი“ დაიხურა

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში დისლოცირებული
ქართველი სამხედროები ამერიკულ ბაზა „ფინიქსს“ ტო-
ვებენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით,
ბაზა „ფინიქსი“ მუშაობას წყვეტს. პირველი ქვეითი ბრი-
გადის მე-13 ბატალიონის გაძლიერებული ოცეულის მიერ
ISAF-ის ოპერაციის დასრულება საზეიმო ცერემონიალით
აღინიშნა.

მე-13 ბატალიონის სამხედროებმა ბაზა „ფინიქსზე“ სა-
ქართველოს სახელმწიფო დროშა დაუშვეს. ოცეულის სერ-
ჟანტმა გიორგი ტაბლიაშვილმა დროშა ავღანეთში უფ-
როს სამხედრო წარმომადგენელს, პოლკოვნიკ ჯონი ტა-
ტუნაშვილს გადასცა. საზეიმო ცერემონიალს ბაზა „ფე-
ნიქსზე“ აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდი-
ის წარმომადგენლობაც დაესწრო.

დროშის დაშვების ცერემონიალის დასასრულს ქარ-
თველ სამხედროებს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილე-
ობისთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მედალი გა-
დაცათ. აშშ-ის მხრიდან მხარდაჭერის ჯგუფის უფროსმა,
ვიცეპოლკოვნიკმა ალექს მაკლემურმა კი, ქართველ ჯა-
რისკაცებს ჯორჯიის შტატის მედალები გადასცა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, პირ-
ველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონის გაძლიერებული
ოცეული სამშვიდობო მისიას 5 თვის განმავლობაში ას-
რულებდა..

რეგულაცია სასწრაფო გამოძახებაზე

1 სექტემბრიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების
გამოძახებაზე რეგულაცია წესდება. როგორც ჯანდაცვის
სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, სასწრაფო
დახმარების გამოძახებების კლასიფიკაცია პრიორიტეტ-
ების მიხედვით მოხდება და ადგილზე მისვლა არა რი-

გითობის, არამედ გადაუდებელი აუცილებლობიდან გა-
მომდინარე განხორციელდება.

მათივე ინფორმაციით, პრიორიტეტებს თავად დისპეტ-
ჩერები განსაზღვრავენ.

- დაგუშვით გამოძახება ავტოსაგზაო შემთხვევასა და
გაცივებაზე. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი ამ შემთხვევა-
ში ავარია იქნება. თუმ-
ცა, ეს არავითარ შემთხ-
ვევაში არ ნიშნავს, რომ
რაიმე გამოძახებაზე სას-
წრაფო უარს იტყვის,
რადგან ნებისმიერი მარ-
ტივი ჩივილის უკან
შეიძლება ძალიან დიდი
გართულება იყოს. იმის
დანერგვა, რასაც ჩვენ
ვაპირებთ, ნინაფოსტა-
ლურ ეტაპზე გამოძახებების კატეგორიზაციაა და მისი
ამოცანაა, რომ საჭიროების მიხედვით მოხდეს ადგილ-
ზე მისვლა, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით
სერგეენკომ.

აზერბაიჯანში უსვლაზე შეზღუდვები წესდება

„ევრო 4“-ის სტანდარტის არმქონე, 2005 წელს ქვემო
დამოშვებული ავტომანქანებისთვის აზერბაიჯანის საზღ-
ვარზე გადასვლისას 16 აგვისტოდან შეზღუდვები ამოქ-
მედდა.

საქართველოს შს სამინისტროს განმარტებით, ახალი
რეგულაციების თანახმად, „ევრო 4“ (EURO 4) სტანდარტის
არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებები აზერბაიჯან-
ის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიშვებიან მხოლოდ
იმ შემთხვევაში, თუ მებატრონე აზერბაიჯანის საზღვრის
კვეთისას შესაბამის ანგარიშზე შეიტანს ავტოსატრანს-

პორტო საშუალების ღირებულების 30%-დან 40%-მდე სა-
გარანტიო თანხას. აღნიშნული თანხა მას მხოლოდ ქვეყნის
ტერიტორიის დატოვების შემდეგ დაუბრუნდება. ამას-
თან, კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა, აზერბაიჯანის
მოქალაქის ნერილობითი თანხმობა, რომლითაც იგი იღებს
პასუხისმგებლობას, „ევრო 4“-ის სტანდარტის არმქონე
ავტოსატრანსპორტო საშუალების ქვეყნის ტერიტორი-
აზე ყოფნის პერიოდში.

აქრალული მედიკამენტები - რუსეთიდან

რუსეთის მოქალაქემ საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგზე“
აკრალული მედიკამენტის შემოტანა სცადა. როგორც შე-
მოსავლების სამსახურში აცხადებენ, მებაჟე ოფიცრებ-
მა 49 აბი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მე-
დიკამენტი - FENAZEPAM-ი კტ-ს მის ბარაგში, საბაჟო
პროცედურების განხორციელებისას აღმოუჩინეს.

დააკავეს ბინის ქურდები

შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს ცენტრალური კრი-
მინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამ-
მართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა
ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღო-
ნისძიებების შედეგად, ქურდობის მცდელობის ფაქტზე
6 პირი: 1971 წელს დაბადებული გელა ჭ, 1979 წელს და-
ბადებული დავით კ, 1984 წელს დაბადებული ბარუკი ბ,
1988 წელს დაბადებული გიორგი ჯ, 1979 წელს დაბადე-
ბული მალხაზ ბ. და 1986 წელს დაბადებული კარლო ბ.
დააკავეს.

სამართალდამცველებმა ექვსი პირი მოსკოვის გამზირზე
იმ დროს აიყვანეს, როცა ისინი ერთ-ერთი ბინის გაქურ-
დავას ცდილობდნენ. პოლიციამ დაკავებულების პირადი
ჩხრეკისას კუსტარულად დამზადებული კარის საკეტის
გასახსნელი ხელსაწყო-ინსტრუმენტები ამოიღო.
დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ეს საინჟინერო

ვისი შრომა ფასდება ყველაზე მეტად!

როგორია ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიები აზრ-სა და პერსონაჟი?

ვიმედოვნებით, რომ სია, რომელსაც ქვემოთ იხილავთ, გულს არ დაგწყვეტთ იმ შემთხვევაში, თუ ამ ჩამონათვალში თქვენს პროფესიას აღმოაჩენთ და ნახავთ, რამდენად განსხვავდება თქვენი შემოსავალი თქვენი ამერიკელი კოლეგების შემოსავლისგან.

სამრეწველო და ორბანიზაციული ფსიქოლოგი
წლიური საშუალო ხელფასი: 124.160 \$
დრო პროფესიის დაუფლებასთვის: 8 წელი

იმის მიუხედავად, რომ მათ პროფესიაში ფიგურირებს სიტყვა „ფსიქოლოგი“, ორგანიზაციული და სამრეწველო ფსიქოლოგები არ არიან ადამიანები, რომლებთანაც მიხვალთ და თქვენს პირად პრობლემებს განიხილავთ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც მართავენ კომპანიების ეკონომიკას და ამავდროულად, როგორც წესი, მჭიდროდ თანამშრომლობენ კომპანიის ადამიანური რესურსების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის განყოფილებებთან. ის ერთ-ერთი მოთხოვნადი და აუცილებელი კადრია დიდი კომპანიებისთვის.

კომპიუტერული და საინფორმაციო სისტემების მენეჯერი
წლიური საშუალო ხელფასი: 125.660 \$
დრო პროფესიის დაუფლებასთვის: 4 წელი

რამდენად მნიშვნელოვანი კადრია კომპიუტერული და საინფორმაციო სისტემების მენეჯერი თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში, თქვენ თავადაც კარგად იცით. რას აკეთებთ მაშინ, როდესაც თქვენი კომპიუტერი „ქრება“ ან თქვენი სამსახურის რომელიმე დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების იმედად ხართ, როდესაც მნიშვნელოვან ფაილს კარგავთ? თუმცა, IT მენეჯერები მხოლოდ ამისთვის არ არიან. ისინი მონაწილეობენ კომპანიის IT სტრატეგიის დაგეგმვაში და განხორციელებაში. ამ პრო-



ფესიის მთავარი სიკეთე კი ის არის, რომ მათ საშუალება ეძლევათ, იმუშაონ ნებისმიერ დანესებულ სახლში, რადგან ისინი ყველას სჭირდება. ყველაზე მეტად კი მათ უმართლებს, ვინც ისეთ ინდუსტრიაში მუშაობს, როგორც კინო ან ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სადაც კარგ სპეციალისტებს, საშუალოდ 162.520 \$ აქვთ ხელფასი.

მარკეტინგის მენეჯერი
წლიური საშუალო ხელფასი: 126.190 \$
დრო პროფესიის დაუფლებასთვის: 4 წელი

ერთი ძალიან საჭირო კადრი ამ ჩამონათვალში მარკეტინგის მენეჯერია. მარკეტინგის მენეჯერ-

რებს პროფესიული რეალიზებისთვის ფართო სპექტრი და არჩევანი აქვთ. ისინი ერთ-ერთი მსხვილი რგოლის წარმომადგენლები არიან კომპანიების ფინანსური ინვესტირების სექტორში და წარმატებული საქმიანობისთვის, მათი საშუალო შემოსავალი 126,190 \$.



საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მენეჯერი
წლიური საშუალო ხელფასი: 128.230 \$
სასწავლო დრო: 4 წელი

როგორც, ალბათ, თავადაც მიხვდით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მენეჯერები ზედამხედველობენ ისეთ მეცნიერებებს, როგორცაა ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საფუძველზე დაგეგმილი მუშაობა. თუ ისინი მოიპოვებენ პოზიციას სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე, მათი შემოსავლის ქვედა ზღვარია 128,230 \$, თუმცა, ბევრად აღემატება აღნიშნულ თანხას მათი შემოსავალი, ვინც კოსმოსურ ინდუსტრიაშია ჩართული.

ჩამონათვალის ასე გრძელდება:

არქიტექტურული და საინჟინერო მენეჯერი
წლიური საშუალო ხელფასი: 129.350 \$
სასწავლო დრო: 4 წელი და მეტი...

იურისტი
წლიური საშუალო ხელფასი: 130.490 \$
სასწავლო დრო: 7 წელი

ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარკეტინგის სპეციალისტი
წლიური საშუალო ხელფასი: 138.980 დოლარი

სასწავლო დრო: 4 წელი და მეტი

რა გასაკვირია, რომ ამ ჩამონათვალში შავი ოქროს სპეციალისტები მოხვდნენ. ყველაზე მაღალანაზღაურებადი პროფესიის წარმომადგენლების სიაში შემდეგია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარკეტინგის სპეციალისტი

სტრატეგიული მენეჯერი და ორთქლიანი
წლიური საშუალო ხელფასი: 204.670 \$
სასწავლო დრო: 8 წლის განმავლობაში

ჩამონათვალში პირველ ადგილზე არიან ისინი, ვინც ზუსტად იცის, რომ „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატეხილდების“ – ისინი, ვინც პროფესიას ძალიან, ძალიან დიდ ხანს ეუფლებიან და ეს უფასოდ კიდევ, ყოველ შემთხვევაში ასეა აშშ-ში. მოკლედ, საუბარია ექიმებსა და ქირურგებზე. პროფესიის დაუფლებას მინიმუმ 11 წელი სჭირდება და აი, შედეგად – ყოველწლიური საშუალო ხელფასი 234.950 \$. სასწავლო დრო: 11 წელი და მეტი...

ციცხალი ანკდოტები

– მისო, რა არ მოგწონს გოგონებისა სანოლში?
– რა და, მათი ხვრინვა...
– სექსის დროს?
– განსაკუთრებით სექსის დროს.
* * *
– რატომ დაფრინავენ წეროები გუნდურად და არა კოლონად, ერთიმეორის მიყოლებით?

– იმიტომ, რომ მკვეთრი დამუხრუჭებისას ერთმანეთს ნისკარტი არ აძგერონ უკანალში.
* * *
– ეძიებო, მომავალს ველარ ვხედავ, – ეწუნუნება მკურნალს ნათელმხილველი.
– აჰა... და რა დროიდან?
– მომავალი კვირიდან.
* * *
– და მაინც როგორი ხელფასის მიღება გსურთ?
– როგორის და, „ვაჰ, ეს მთლიანად ჩემია?“



საქართველო ბრალისიული მედიცინის სამსახურში
ინარგავლათ საუკუნეების მანძილზე
გამოცდილი ბუნებრივი წარმოებით
„ფერდის“ და „სალხინოს“
კომპლემსური გამოყენება

კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქრონიკული გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.
პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კავსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კავსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კავსულა „ფერდი“ და 1 კავსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კავსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შეეგება გრძობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.
„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ ავთიაქებში.



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..



საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა
საკართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა
გამომცემლობა: შპს „თანადგომი“-გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა
ტ. 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულაძე
299-62-77; 599 36 00 35
მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე შვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიანი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაძე 514 33-33-24